# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცრუილობით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 7 ოქტომბერი, 2015 წელი.

№188 (7833)



ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge



ვებ გვერდი: www.sakresp.ge

ფასი 50 თეთრი.




რამაზ საყვარელიძე:

## როდესაც ადამიანები არ ენდობიან ტელევიზიას, ვის რაში სჭირდება ის?

2

## „საკუთარი ხელით დავახრჩობ მამას, თუ სააკოვი მიბრძანებს ამას!“

3

## „ყაზტრანსგაზმა“, შესაძლოა, ქართული მხარისგან ინვესტიციების დაბრუნება მოითხოვოს

2

## ელჩი გიორგი მარგველაშვილის ბრალდებას უპასუხებს

7

## რატომ არ გაჰყვა გეგეშიძე საქართველოს პრეზიდენტს ვაშინგტონში?




4

## მოქალაქეობას ანიჭებთ თუ პარტიაში იღებთ, ბ-ნო პრეზიდენტო?!

## ვინ აკონტროლებს თხილის ბიზნესს?



11

## ფინანსების დიდი ენციკლოპედია

6



## „ჩვენ ვოცნებობდით ჩვენს მიწაზე!..

5





11

## მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტები

## რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

# პრეზიდენტი პოლიტიკიდან წასვლას არ აპირებს



**საპარლამენტო არჩევნებისთვის პოლიტიკური ძალის შექმნას არ ვაპირებ, — ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა გადაცემა „არჩევანში“, მის პოლიტიკურ მომავალთან დაკავშირებით საუბრისას განაცხადა.**

ქვეყნის პირველმა პირმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ პოლიტიკიდან წასვლას და საპრეზიდენტო მანდატზე უარის თქმას არ გეგმავს.

„მე მოსახლეობამ დამაკისრა საპრეზიდენტო მანდატი და არა მგონია, რომ ეს მანდატი უნდა შევცვალო. შესაბამისად საპარლამენტო არჩევნებისთვის პოლიტიკური ძალის შექმნას არ ვაპირებ, არ ვაპირებ იმ კონკრეტული მიზეზის გამო, რომ ეს დამავალა ქართველმა ხალხმა - ძალიან სტაბილური სამწლიანი მანდატი მაქვს 2018 წლამდე. რაც შეეხება მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებს, ბუნებრივია, დღეს მე განცხადებას იმის თაობაზე, მივიღებ თუ არა მონაწილეობას, არ გავაკეთებ. პოლიტიკურ დღის წესრიგში ეს საკითხი ჯერ საერთოდ არ დგას, ეს არის 3 წლის მერე“, — განაცხადა პრეზიდენტმა.

# „ყაზტრანსგაზმა“, შესაძლოა, ქართული მხარისგან ინვესტიციების დაბრუნება მოითხოვოს



**კომპანია „ყაზტრანსგაზმა“ ქართულ მხარეს, შესაძლოა, ინვესტიციების დაბრუნება მოსთხოვოს. აღნიშნული ინფორმაცია ყაზახურ მედიაში, კომპანია „ყაზტრანსგაზზე“ დაყრდნობით გავრცელდა.**

„ყაზტრანსგაზის“ განცხადებიდან გამომდინარე ირკვევა, რომ კომპანია ქართულ მხარესთან წინასაარბიტრაჟო დარეგულირების ინიცირებას მოახდენს. კომპანიაში მიაჩნიათ, რომ 2009 წელს, „ყაზტრანგაზ-თბილისის“ სპეციალური მმართველის დანიშვნით, დაირღვა „ყაზტრანგაზის“, როგორც უცხოელი ინვესტორის უფლებები, რადგან დანიშვნის შემდეგ კომპანია „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ საქმიანობაში, ფაქტობრივად, ველარ მონაწილეობს.

„ყაზტრანსგაზში“ იმედოვნებენ, რომ დავა მალე მოგვარდება, წინააღმდეგ შემთხვევაში კომპანია საინვესტიციო საარბიტრაჟო გარჩევას დაიწყებს და მოითხოვს არამხოლოდ „ყაზტრანგაზ-თბილისზე“კონტროლის დაბრუნებას, არამედ ზარალის ანაზღაურებასაც, არანაკლებ განხორციელებული ინვესტიციების თანხის ოდენობისა.

კომპანიაში აცხადებენ, რომ „ყაზტრანსგაზ-თბილისში“ ჩადებული ინვესტიცია 130 მილიონ აშშ დოლარს აღწევს.

ენერგეტიკის მინისტრის, ვიცე-პრემიერ კახა კალაძის განცხადებით, „ყაზტრანსგაზთან“ დაკავშირებით საპრეტენზიო წერილის მიღება მოულოდნელი იყო. ამის შესახებ კახა კალაძემ განაცხადა.




„გულწრფელად მინდა გითხრათ, მოულოდნელი იყო საპრეტენზიო წერილის მიღება „ყაზტრანსგაზთან“ დაკავშირებით, რომ კომპანიაში ყაზახური მმართველობა შევიდეს, რადგან ჩვენ ორმხრივი მოლაპარაკების პროცესში ვიმყოფებით“, — განაცხადა კალაძემ.

მისივე თქმით, არაერთხელ განუცხადებიათ, რომ ენერგეტიკის სამინისტრო არ არის წინააღმდეგი ყაზახური მხარის მენეჯმენტში დაბრუნების.

„გარკვეული პრობლემები იყო ფინანსთა სამინისტროებს შორის და ზუსტად ამ დეტალებზე არის მოლაპარაკებები. მე ვფიქრობ, უახლოეს მომავალში ეს დარეგულირდება და არბიტრაჟურ დავამდე არ მივა საქმე“, — განაცხადა კალაძემ.

## ◎ კითხული კაცის აზრი

**„ნაციონალების სტრატეგიაა, ქვეყანაში დესტაბილიზაციის შექმნა, მათ მხოლოდ ეს იციან. პროცესები 2003 წლის მოვლენებამდე მიჰყავთ არა იმიტომ, რომ მოსახლეობა მათ აირჩევთ, — არა. ამ შემთხვევაში ნაციონალების სამიზნე არის არა მოსახლეობა, არამედ დასავლეთი, რომელსაც შეუძლია უსაყვედუროს ხელისუფლებას“, — აცხადებს for.ge-სთან საუბრისას პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე, რომლის განცხადებით, როგორი მიუღებელიც არ უნდა იყოს „ქართული ოცნება“, ის ვერ იქნება იმაზე უფრო მიუღებელი, ვიდრე ნაციონალური მოძრაობა არის.**

**დღეს რამაზ საყვარელიძე გვესაუბრება.**



**— ნაციონალური მოძრაობის წევრი კაკო ბობოხიძე ნაციონალების მომხრეებს მოუწოდებს, რომ პასუხი აგებინონ საკუთარ მეზობლებს, ნათესავებს, ნაცნობებს, მეგობრებს, „ქართული ოცნების“ კოორდინატორებს და აქტივისტებს. დეპუტატის ეს განცხადება არის თუ არა საზოგადოების დაპირისპირებისკენ მოწოდება?**

— რა თქმა უნდა, ამ განცხადების მიზანი არის საზოგადოების დაპირისპირებისკენ მოწოდება. ბობოხიძის განცხადებას ვასიკო ოდიშვილის ანეკდოტით ვუპასუხებდი — „ბობოხიძეს მეზობლები უბრაგუნებდნენ და რომ იკითხა, რატომ მცემთო, უპასუხეს — შენ არ გვითხარი, ვინც ოცნებისთვის ხმის მიცემა გაიძულათ, იმას პასუხი აგებინეთო? ხოდა ამიტომაც გიბრაგუნებთო“ — ეს უფრო სიმართლეა, ვიდრე ანეკდოტი.

**რამაზ საყვარელიძე: როდესაც ადამიანები არ ენდობიან ტელევიზიას, ვის რაში სჭირდება ის?**

„ქართული ოცნებისთვის“ ხმის მიცემის პასუხისმგებლობა უპირველეს ყოვლისა ნაციონალურ მოძრაობას ეკისრება. დიახ, ნაციონალები ასეთი რომ არ ყოფილიყვნენ, როგორიც იყვნენ და მათ შორის, კაკო ბობოხიძეც, არ მოხდებოდა ასეთი გამძაფრებული ბრძოლა იმისთვის, რომ პოლიტიკური არენიდან გაეშვათ ნაციონალური მოძრაობა. ასე რომ, სხვებისკენ თითის გაშვერამდე კარგი იქნება თუ ნაციონალური მოძრაობის აქტიური წევრები საკუთარ პასუხისმგებლობასაც იგრძნობენ.

**— თუნდაც იმის გამო, რომ „ქართული ოცნება“ ვიღაცისთვის მიუღებელია?**

— დიახ. „ქართული ოცნება“ როგორი მიუღებელიც არ უნდა იყოს, ის ვერ იქნება იმაზე უფრო მიუღებელი, ვიდრე ნაციონალური მოძრაობა არის. ამიტომ, ასეთ საპროტესტო აქციებში ნაციონალური მოძრაობის ჩადგომა, ფაქტობრივად ბევრს არაფერს ნიშნავს.

**— ბატონო რამაზ, ნაციონალები აცხადებენ, რომ თუკი ისინი დაბრუნდებიან ხელისუფლებაში და დარწმუნებული არიან, რომ დაბრუნდებიან, არ დაუშვებენ პოლიტიკური ოპონენტების დევნას. მაგრამ ბობოხიძის განცხადება არ ადასტურებს, რომ რეალურად, ნაციონალებს უარი არ უთქვამთ ოპონენტების დევნაზე, რასაც წლების განმავლობაში აკეთებდნენ?**

— გასაგებია, ამბობენ, რომ არ იქნება პოლიტიკური დევნა, რადგან ამბობენ, რომ ეს იყო შეცდომა, მაგრამ სადმე გვინახავს ის ჩამონათვალი, რასაც საკუთარ შეცდომად თვლიან ნაციონალური მოძრაობის წევრები? ჩვენ გვესმის მხოლოდ განცხადებები, მაგრამ არაფერ კონკრეტულზე ისინი ბოდიშს არ იხდიან. ზოგადად ამბობენ, რომ ჩვენ შევიცვალეთ, რაღაცა შეცდომები გვქონდა, მაგრამ კონკრეტულად რაში მდგომარეობდა ეს



შეცდომები და რის გამეორებას არ აპირებენ, ამაზე ეს ბატონები არ საუბრობენ. ამიტომ, ლაპარაკი იმაზე, რომ მათ რაღაცა შეცვალეს, ეს არის მხოლოდ სიტყვები. ვხედავთ, რომ მათ რიგებში ის ადამიანებიც არ შეცვლილან, რომლებიც მიუღებელი იყო და არის საზოგადოების დიდი ნაწილისთვის.

თუ ადამიანები არ შეიცვალნენ, ისე რის შეცვლაზეა ლაპარაკი? ელემენტარულად, ერთი ადამიანი რომ ციხეში მეორე ადამიანს აწამებდა, ახლა რატომ იტყვის ამაზე უარს პოლიტიკური მოსაზრების გამო? — იმიტომ აწამებდა პატიმარს, რომ მისთვის სასიამოვნო იყო?

**— ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერთა რიცხვი საკმაოდ დაბალია, შესაბამისად, საინტერესოა, რატომ ცდილობენ ვითარების პოლიტიკურ დაპირისპირებამდე მიყვანას? ფაქტია, რომ დღესაც სწორედ ისე მოქმედებენ, როგორც 2003 წელს ანუ, ახალი სტრატეგია მათ მოქმედებაში არ ჩანს.**

— გეთანხმებით, რომ იმ იარაღს იყენებენ, რომლის გამოყენების გამოცდილებაც აქვთ, მაგრამ ნებისმიერი კონფლიქტის შემთხვევაში დავუშვათ მოხდა შეჯახება ორ ნაწილს შორის, რომელი იტყვის პირველ რიგში იმას, რომ ეს პოლიტიკური დაჯახება იყოო, რა თქმა უნდა, ნაციონალები. მათ ასეთი ძახილი სჭირდებათ არა იმიტომ, რომ ხმები მოიპოვონ, არამედ იმისთვის სჭირდებათ, რომ დასავლეთმა ხელი შეუშალოს სამართლებრივ პროცესებს, რასაც ვხედავ კიდევაც „სახალხო პარტიის“ მხრიდან.

**— ნაციონალების აქტივობა გათვლილია დასავლეთზე, მაგრამ რამდენად შეძლებენ ამის პარალელურად ხალხის მხარდაჭერის მოპოვებას?**

— ხალხის მხარდაჭერის მოპოვების შანსი რომ ჰქონდეთ, ბუნებრივია, მაშინ სხვანაირად იმოქმედებდნენ. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ პროცესები 2003 წლის მოვლენებამდე მიჰყავთ. ნაციონალების სტრატეგიაა, ქვეყანაში დესტაბილიზაციის შექმნა, მათ მხოლოდ ეს იციან. პროცესები 2003 წლის მოვლენებამდე მიჰყავთ არა იმიტომ, რომ მოსახლეობა მათ აირჩევს — არა. ამ შემთხვევაში, ნაციონალების სამიზნე არის არა მოსახლეობა, არამედ დასავლეთი, რომელსაც შეუძლია უსაყვედუროს ხელისუფლებას, შერჩევით სამართალზე, პოლიტიკური მოტივით დაპატიმრებაზე, როგორც ეს ახლახან „სახალხო პარტიამ“ გააკეთა. ეს ნაციონალებისთვის უკვე გადარჩენის ტოლფასია და უჩნდებათ შანსი, რომ მათ წინააღმდეგ სამართლებრივი დევნა არ განხორციელდეს.

**— ამ შემთხვევაში რა ნაბიჯები უნდა გადადგას ხელისუფლებამ?**

— იცით, ამ შემთხვევაში მოვიწვევდი უცხოელ სოციოლოგებს და მათთან ერთად გავარკვევდი, ენდობა თუ არა ხალხი „რუსთავი-2“-ს. წლების წინ ჩატარდა ასეთი კვლევები, სადაც ყურების რეიტინგი მაღალი კი ჰქონდა „რუსთავი-2“-ს, მაგრამ ნდობის რეიტინგი ჰქონდა ძალიან დაბალი. როდესაც ადამიანები არ ენდობიან ტელევიზიას, ვის რაში სჭირდება მისი დახურვა?! მით უმეტეს, რომ ხელისუფლებას ჰქონდა ტელევიზია, მაგრამ მასზე თვითონ თქვა უარი. თუ ვინმეს აწყობს ახლა ეს ვითარება, ეს თვითონ ნაციონალური მოძრაობაა.

**ესაუბრა**
**თამთა ქარჩავა**

## ◎ ინფორმაცია

# ნაციონალებს ვადამდელი არჩევნები სურთ




**ერთიანი ნაციონალური მოძრაობა მთავრობის გადაყენებისა და ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნის მოთხოვნით პოლიტიკურ ძალებთან მოლაპარაკებებს იწყებს.**

**პარტიის ლიდერებმა შესაბამისი განცხადება ყოფილი პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის რეზიდენციასთან გამართულ აქციაზე გააკეთეს.**

**როგორც მათ განმარტეს, პოლიტიკურ ძალებთან აღნიშნულის თაობაზე მოლაპარაკებების პარალელურად, ისინი საპროტესტო აქციების გამართვასაც გეგმავენ.**

**„ჩვენ არ გამოვრიცხავთ არც ერთ პოლიტიკურ ძალას მოლაპარაკებების პროცესში“, — განაცხადა ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა გიგა ბოკერიამ.**

**პარტიის ლიდერების აღნიშნულ განცხადებას აქციის მონაწილეები ტაშით შეხვდნენ.**

თაობების აღმზრდელი

# ქართული მეცნიერების ბერმუხა



### აკადემიკოსი მალხაზ ზაალიშვილი 95 წლისაა

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიური საბჭო და ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილება გულითადად ულოცავს გამოჩენილ ქართველ მეცნიერსა და ღვაწლმოსილ მკვლევარს აკადემიკოს **მალხაზ ზაალიშვილს** დაბადების 95 და სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 70 წლისთავს.

მისი დიდი ძალისხმევით საქართველოში საფუძველი ჩაეყარა მოლეკულური ბიოლოგიისა და ბიოლოგიური ფიზიკის განვითარებას. იგი გახლავთ მრავალი მნიშვნელოვანი შრომის ავტორი, აკადემიკოს მ. ზაალიშვილის შრომები კუნთის ფიზიკურ-ქიმიური ორგანიზაციის კვლევის დარგში წარმოადგენენ ქართული მეცნიერების თვალსაჩინო მიღწევას.

ბატონი მალხაზის ხელმძღვანელობით შესრულებული კვლევების მნიშვნელობის აღიარების დადასტურება იყო მოლეკულური ბიოლოგიისა და ბიოლოგიური ფიზიკის ინსტიტუტის დაარსება, რომელიც დღეს ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის ფარგლებში განაგრძობს მოღვაწეობას.

მან დიდი ამაგი დასდო საქართველოში ბიოფიზიკოსებისა და მოლეკულური ბიოლოგიის სპეციალისტთა თაობების აღზრდას, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დააარსა ბიომაკრომოლეკულების ფიზიკის კათედრა.

წლების მანძილზე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიოლოგიის განყოფილების აკადემიკოს-მდივნისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკის დირექტორის თანამდებობებზე მისმა საქმიანობამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საქართველოში მეცნიერების განვითარებას.

მალხაზ ზაალიშვილმა დიდი წვლილი შეიტანა 9 აპრილის მოვლენებთან დაკავშირებით შექმნილ საგამოძიებო კომისიის მუშაობაში.

სამეცნიერო საზოგადოება მადლიერების გრძნობით აფასებს მის სამეცნიერო-ორგანიზაციულ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას, ქართული მეცნიერების წინაშე მის უდიდეს დამსახურებას. ბატონი მალხაზი კვლავაც დაუცხრომელი ენერგიით, ენთუზიაზმითა და მაღალი პროფესიონალიზმით აგრძელებს მუშაობას.

ვუსურვებთ იუბილარს მრავალჟამიერ სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, სიმხნევეს, ნაყოფიერ სამეცნიერო საქმიანობას ჩვენი სამშობლოსა და ქართული მეცნიერების საკეთილდღეოდ.

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, ბიოლოგიის მეცნიერებათა განყოფილება.**

ალიან-ჩალიანი

## აღნიშნეს მასწავლებელთა საერთაშორისო დღე

**მასწავლებელთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა საზეიმო მიღება გამართა.**



**ღონისძიებაში მონაწილე 100-ზე მეტ პედაგოგს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიკიძე და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი გიორგი მაჩაბელი მიესალმნენ და წარმატებები უსურვეს. თამარ სანიკიძემ სამ დამსახურებულ მასწავლებელს სამკერდე ნიშანი „ამაგდარი“ გადასცა. სამინისტროს ჯილდო განათლების სფეროში მოღვაწე ადამიანებს მომავალი თაობის აღზრდაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის გადაეცემათ.**

**მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორმა გიორგი მაჩაბელმა მინისტრთან ერთად ცენტრის მიზნობრივი პროგრამების მონაწილე მასწავლებლები და დამსახურებული, ასაკოვანი პედაგოგები დააჯილდოვა. აღნიშნულ 12 მასწავლებელს ცენტრის სახელით მადლობის სიგელები და საჩუქრები გადაეცათ. „ლიბერთი ბანკის“ მიერ დაჯილდოვდა ასევე რვა მასწავლებელი, რომლებიც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებს ასწავლიან.**

## ფოთში ჟესტური ენის შემსწავლელი კურსები დაიწყო

**სმენის დარღვევის მქონე ბავშვებისთვის ჟესტური ენის შემსწავლელი კურსები დაიწყო. პროექტს ფონდი „ბილივი“ ფოთის სმენადაქვეითებულთა კავშირთან თანამშრომლობით ახორციელებს და მისი ბენეფიციარები ფოთში მცხოვრები სმენის დარღვევის მქონე ბავშვები არიან. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეების სწავლება ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებით ხორციელდება. სწავლების პროცესის საინტერესოდ და ეფექტურად წარმართვისთვის მასწავლებელი გაკვეთილის ვიზუალიზაციას ახდენს, იყენებს თვალსაჩინო მასალას: სახელმძღვანელოს, ფოტოებს, ვიდეოს და დაწერილ ინსტრუქციას.**

**როგორც ფონდში აცხადებენ, ბავშვები დიდი სიამოვნებით ესწრებიან ჟესტური ენის გაკვეთილებს, რაც ხელს უწყობს მათი დამოუკიდებელ პიროვნებად ჩამოყალიბებასა და საზოგადოებაში ინტეგრაციას. „რთულია, როდესაც ვერაფრით ეხმარები საკუთარ შვილს გარე სამყაროსთან კომუნიკაციაში. მოხარული ვარ, რომ ეს პროექტი ამ პრობლემის მოგვარებაში დაგვეხმარება“, — განაცხადა ერთ-ერთმა მშობელმა.**

**ინტერპრესი**

ყველა სკეპტიკოსის გასაგონად

# „საკუთარი ხელით დავახრჩობ მამას, თუ სააკოვი მიბრძანებს ამას!“

## ციკლიდან „წერილები მაგნოლიების ქალაქიდან“

**დიდი ხანია, მძვინვარებს ჩვენი დიდი კლასიკოსებისა და ერისკაცების წინააღმდეგ მიმართული ბინძური კამპანია. „ვეფხისტყაოსანს“ იდიოტიზმი უწოდეს, აკაკი წერეთელს — ბანძი, გალაკტიონს — სოფლელი ბიჭი. ახლახან გაზეთში („საქართველო და მსოფლიო“, 16-22 სექტემბერი, 2015 წ.) წავიკითხე პროფესორ გოგი დოლიძის სტატია „გიორგი ლეონიძე — ქართული ინკვიზიტორის მორიგი მსხვერპლი“. გული დამწყდა. ბატონი გოგის შენიშვნები საფუძვლიანია. კლასიკოსების საფლავებთან ფეხაკრეფით უნდა ვიაროთ და ჩურჩულით ვილაპარაკოთ. კრიტიკა გველის შხამივითაა. ნორმირებული დოზა წამალია, ხოლო მომეტებული — ავადმყოფს კლავს. დარწმუნებული ვარ, ბატონმა გოგიმ, როცა კალამი აიღო ხელში, მისი მიზანი იყო დაავადების განკურნვა.**

მეოთხედი საუკუნის მანძილზე წიგნის ბეჭდვის ტექნოლოგია ძალიან წინ წავიდა. სამწუხაროდ, გაუარესდა მისი რედაქტირება. ფაქტობრივად, რედაქტორის ინსტიტუტი აღარ არსებობს. თვითცენზურაზეც ლაპარაკი ზედმეტია. იგულისხმება მხატვრული და ესთეტიკური მხარე. გამოდის სუროგატი, შეკოწიწებული წიგნები, პრემიებსაც იღებენ, მხედველობაშია ხაზარაძის „საბაობა“, მკითხველი კი ზარალდება. მერამდენეჯერ შეურაცხყვეს ვაჟა-ფშაველა . მისი ეკატერინე გელაძესთან ურთიერთობა, მსუბუქად ვიტყვი, ხელოვნურად შეთხზული ბინძური ფანტაზიაა. გარდაცვლილი ადამიანების შეურაცხყოფა ორჯერ უზნეობაა, მით უმეტეს, თუ იგი გენიოსია.



მას შემდეგ, რაც სერგო ორჯონიკიძის „იმერელი ბიჭობა“ გამოირიცხა, დაბეჯითებით ცდილობენ, ილიას სისხლი სტალინს მოსცხონ. ამ სიბინძურის ავტორებმაც კარგად იციან, რომ ირემაშვილისა და სხვა ემიგრანტთა ნაწერებზე დაყრდნობა და სარწმუნო წყაროდ მიღება არ შეიძლება. სტალინს, იგივე სოსელოს, უყვარდა ილია და მისი სიკვდილი არც ერთ შემთხვევაში სტალინის ინტერესებს არ უკავშირდება. მხოლოდ და მხოლოდ, ნაცმოძრაობისა და მათი ბელადის სააკოვის ინტერესებშია დიდი ავტორიტეტების ლაფში ამოსვრა, თუ გნებავთ, იხილეთ ალენ დალესის დოქტრინა, რაც „მაგარმა“ სააკოვმა საკუთარ პროგრამად მიიღო და წარმატებითაც ახორციელებდა. ნაცების ძვირფასმა მამამ სააკოვმა გორში სტალინის ძეგლი აიღო და შუა თბილისში სკკპ პოლიტბიუროს წევრისა და აზერბაიჯანის კგბ-ს ყოფილი მინისტრის ჰეიდარ ალიევის ძეგლი აღმართა. ამაზე კი არავინ ლაპარაკობს.

რასაც ახლა ჭაბუა ამირეჯიბისა და ნოდარ დუმბაძის მისამართით კადრულობენ, უზნეობის ჩარჩოშიც აღარ თავსდება. ეს არის მარაზმი და კიდევ უფრო უარესი, რაც ქართულ ენაზე და მით უფრო, წესიერ ხალხში არ ითქმება. ეს ავტორები ოჯახში გაზრდილს არ ჰგვანან. ბატონების დავით დარჩიაშვილისა და გია ნოდიას დევიზია „საკუთარ ხელით დავახრჩობ მამას, თუ სააკოვი მიბრძანებს ამას“ საუბედუროდ, თუ საბედნიეროდ, გია ნოდიას მამა ოთარი, რომელსაც კარგად ვიცნობდი, ცოცხალი აღარ არის და მისი მოწიფული ვაჟკაცი მას ვეღარ დაახრჩობს.

რესპუბლიკელების თქმით, გორში სტალინის ძეგლის დაბრუნება თურმე ხელს შეუშლის ჩვენს დასავლეთისკენ სწრაფვას. იმავე დასავლეთში — შუაგულ პარიზში აქვთ სტალინგრადის მოედანიც და ძეგლიც, მაგრამ ეს ხელს არ უშლის პარიზელების ევროპელობას. ვეკითხები პატივცემულ რესპუბლიკელებს, შუაგულ თბილისში კგბ-ს მინისტრის და სკკპ პოლიტბიუროს წევრის ალიევის ძეგლი უშლის თუ არა ხელს ჩვენს ევროპელობას, რაც საპნის ბუშტია. ევროპა თავად აღარ არის ევროპა. მისი მოსახლეობა ბოლო 50 წლის მანძილზე 25 პროცენტით გაშავდა. ნახევარი საუკუნის შემდეგ, ალბათ, ევრაფრიკას დავუძახებთ. ევროპა ბაირონი და გოეთე, სერვანტესი და შექსპირია, რომლებსაც ვეთაყვანებით ქართველები და არა — ერთსქესიანთა ქორწინება, რასაც პიტნასავით გვტენიან ცხვირში ცისფერ დუნაიდალეულები. ევროპული კულტურა მეტი დოზით საქართველოს მტრების საძულველმა თერგდალეულებმა შემოიტანეს, ხოლო ცისფერ დუნაიდალეულებს გეების აღლუმები შემოაქვთ. ქართველმა ხალხმა უკეთ იცის, რა აირჩიოს და საით წავიდეს. თუ სიმართლე გინდათ, არსად არ უნდა წავიდეთ,საკუთარ ტყავში დავეტიოთ.

ჩვენი სულიერი ღირებულებები არ არის ბორდელადქცეული პარტიების ხელწამოსაკრავი. ახლახან აშშ-ის ახალმა ელჩმა იან კელიმ დიპლომატიური, გნებავთ — პოლიტიკური, შეცდომა დაუშვა, მაგრამ რომელ შეცდომაზეა ლაპარაკი, კოკაში რაც დგას, იგივე გადმოდინდება. ავაყვავოთო ტელეარხი „რუსთავი-2“. ნუთუ არ იცის გამოცდილმა დიპლომატმა, ასე უწოდა საკუთარ თავს ერთ-ერთ ტელეეთერში, რომ „რუსთავი-2“ ძებნილი სააკაშვილის ჯიბის არხი და სიცრუის მანქანაა, რასაც ხალხი ბორდელს ეძახის. ბატონმა ელჩმა უნდა იცოდეს, რომ თუ ასე გაგრძელდა, იგი ვერ შეუწყობს ხელს ამერიკელებისა და ქართველი ხალხების დაახლოებას. დაუწერელი კანონია, რომ ელჩმა იმ ხალხის სულიერი ინტერესები უნდა გაითავისოს, სადაც ის მოღვაწეობს და არ უნდა იცავდეს იმ პოლიტიკური ჯგუფის ინტერესებს, რომელიც ხალხმა ისტორიის სანაგვეზე გაისტუმრა. ეს ვრცლად სასაუბროა და მალე ბატონ ელჩს ვრცლად ღია წერილით გავეცნობი. სააკოვმა და მისმა გახრწნილმა რეჟიმმა სხვა ინსტიტუტებთან ერთად გაანადგურა ქართველი ხალხის საყვარელი ჟურნალი „მნათობი.“ აჭარის მწერალთა ორგანიზაციაში შეხვედრისას, ბატონ ბიძინას ვთხოვე, დაგვიბრუნე-მეთქი ჟურნალები „დილა“ და „მნათობი.“ ისიც დავძინე, რომ „დილის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და პირველი რედაქტორი დიდებული ქალბატონი მარიამ ივანიშვილი იყო. ბედნიერი ვარ, რომ „დილის“ ხელმომწერი გახვდი. ჯერი „მნათობზეა“. ბატონ ბიძინას მწერალთა კავშირში შეხვედრისას დაჩოქილმა ვთხოვე მისი დაბრუნება.

ახლაც ამას ვიმეორებ. როცა საყვარელ ჟურნალს, რომლის რედაქტორიც გამოჩენილი მწერალი თამაზ ჭილაძეა, დავიგულებ, მშვიდად მოვკვდები.

რამდენიც უნდა, იმდენი იჟღურტულოს ბაქრაძე-ბოკერია-გაბაშვილის „ტროიკამ“, იღრინონ და იყეფონ რამდენიც უნდათ, „კმარაც“ მოიშველიონ, ჩიტი-ჩიორაც. რაც შეეხება 1 ოქტომბრის გაბუნიას ისტერიულ „არჩევანს“, მაყურებელს პირი ღია დარჩა.



**შოთა ზოიძე,**
**პოეტი, ქ.ბათუმი.**

# შეურაცხმყოფელი და დამამცირებელი

# მოქალაქეობას ანიჭებთ თუ პარტიაში იღებთ, ბ-ნო პრეზიდენტო?!

**ქართულ დიასპორასთან შეხვედრაზე (სექტემბრის ბოლოს) ერთ-ერთ ემიგრანტს – ქართველ ირმა გაჩეჩილაძეს საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებისთვის მადლობა გადაუხდია პრეზიდენტ მარგველაშვილისთვის. ცხადია, ასეც უნდა მოქცეულიყო და მეც, ანალოგიურად, მადლობას მოვახსენებ საქართველოს პრეზიდენტს, ვისაც, ერთადერთ ადამიანს, კონსტიტუციით აქვს მინიჭებული ეს უფლება. დიდი მადლობა, მაგრამ...**

თავად პრეზიდენტს ამ შეხვედრაზე შემდეგი განუცხადებია: **„როდესაც იღებ სხვა ქვეყნის მოქალაქეობას, ავტომატურად კარგავ საქართველოს მოქალაქეობას, მაგრამ ავტომატურად ღიაა კარები ორმაგი მოქალაქეობისთვის“**, და შემდეგ: **„...ვისაც ეს საკითხი დაუდგა ამერიკის მოქალაქეობის მიღების დროს, მარტივად, შემოიტანეთ ორმაგ მოქალაქეობაზე მოთხოვნა, მიიღებთ ორმაგ მოქალაქეობას“!**

გასაგებია, რომ პრეზიდენტი მოქმედი კანონის შესაბამისად მსჯელობს, მაგრამ პირადად ჩემთვის მაინც გაუგებარია მისი სიტყვების, გნებავთ, თავად ამ კანონის შინაარსი, უფრო სწორად, ლოგიკურობა. თუ ავტომატურად ვკარგავ მოქალაქეობას, მაგრამ იმავ წუთს, დაკარგვისთანავე ავტომატურად მეხსნება კარი ორმაგი მოქალაქეობისთვის და, მარტივად, მოთხოვნისთანავე ვიღებ ორმაგ მოქალაქეობას, მაშინ რატომღა და, რაც მთავარია, რა უფლებით(!) მართმევ დაბადებიდან, ქართველობით დამსახურებულ, გნებავთ, ღმერთის ნებით მონიჭებულ საქართველოს შვილობას?! თუ, თავად მე არ ვთქვი უარი საქართველოს მოქალაქეობაზე, ვისა აქვს უფლება ჩამომართვას იგი, სახელმწიფოს? რამდენიმე ათეული კაცის მიერ მიღებული კანონის საფუძველზე?! კი მაგრამ, საქართველოს მოსახლეობას არაფერს ეკითხებით? არნახული ემიგრაციის უმძიმეს ისტორიულ ეპოქაში მოქალაქეობის, მიწის თუ ნატოში გაწევრების და კიდევ სხვა სასიცოცხლო მნიშვნელობის კანონპროექტები თუ არ გავა რეფერენდუმებზე, მაშინ რისთვის და ვისთვის არის მოგონილი საერთოდ რეფერენდუმები, მხოლოდ შვეიცარიისთვის, სადაც სისტემატურად გააქვთ რეფერენდუმებზე ბევრად უფრო უმნიშვნელო საკითხები?!

გასაგებია, რომ ეს კანონი ბევრად ადრეა მიღებული, ვიდრე ამჟამინდელ პრეზიდენტს ავირჩევდით, მაგრამ მის მიერ გამოთქმული მოსაზრება (იმავე შეხვედრაზე) მაფიქრებინებს, რომ ისიც იზიარებს წინა ხელისუფლების მესვეურთა და კანონშემოქმედთა პოზიციას ამ საკითხთან დაკავშირებით: **„თქვენ მიგაჩნიათ, რომ კანონი სხვანაირად უნდა იყოს** (ხომ ხედავთ, „თქვენო“ „მე“ – არაო! აბა, მასაც რომ მიაჩნდეს, არც სხვისი შეხსენება დასჭირდებოდა და არც პრეზიდენტობის სამი წელი საფიქრელად! – **ი. ლ.**), **კი ბატონო, განხილვადია ეს საკითხიც და, შესაძლებელია ამაზეც ვიფიქროთ, თუ როგორ შეიძლება სხვანაირად იყოს ფორმულირებული კანონი“**.

ბატონო პრეზიდენტო, დავიჯერო, არ იცით როგორ უნდა იყოს ფორმულირებული კანონი და მართლა გულით გსურთ, იცოდეთ, თუ როგორ შეიძლება ამ პრობლემის მოგვარება? სიმართლე გითხრათ, ამაში ძალიან დიდი ეჭვი მეპარება, მაგრამ მაინც მოგახსენებთ. ამ პრობლემის გადაჭრას სულაც არ სჭირდება დიდი თავისმტვრევა, ფიქრიც კი არ არის საჭირო, იგი კარგა ხნის, ზუსტად 65 წლის წინათ არის მოფიქრებული.

1950 წელს, ისრაელის სახელმწიფომ, შექმნიდან ორიოდე წლის შემდეგ მიიღო ე.წ. **„დაბრუნების კანონი“ (Law of Return)**, რომლის ძალითაც ნებისმიერი სახელმწიფოს ებრაელებს და მათ მეუღლეებს (არაებრაელებსაც!) ისრაელში დაბრუნების (2 600 წლის შემდეგ!) და ისრაელის მოქალაქეობის მიღების უფლება ეძლეოდათ! არც ებრაული ენის – ივრითის ცოდნა იყო საჭირო და არც რაიმე დამსახურება ისტორიული სამშობლოს წინაშე, ერთადერთი აუცილებელი მოთხოვნა ებრაელობა იყო! 20 წლის შემდეგ ამ კანონის მოქმედების არეალი კიდევ უფრო გააფართოვეს. 1970 წლიდან, კანონში შეტანილი დამატებით, ეს უფლება გავრცელდა ებრაელის შვილებზე და შვილიშვილებზეც, და ამ შვილებისა და შვილიშვილების არაებრაელ მეუღლეებზეც! „დაბრუნების კანონი“ მოქმედებს დღესაც, როდესაც ისრაელში დემოგრაფიული ბუმია, განვითარებულ ქვეყნებს შორის ყველაზე მაღალი შობადობის მაჩვენებელია – საშუალოდ, სამი ბავშვი ოჯახში (სხვა ქვეყნებში – 1,5 ბავშვი), და ანალიტიკოსების გაანგარიშებით 2059 წლისთვის მისი მოსახლეობა მინიმუმ 15,6 მილიონს ან სულაც 20,6 მილიონს მიაღწევს! ჩვენთან კი შობადობა (ქართველთა შობადობა!) კატასტროფულად დაბალ დონეზეა, ემიგრაცია – კატასტროფულად მაღალზე, ხოლო 2059 წლისთვის, იმავე ანალიტიკოსების დასკვნით, ლამის სრული გადაშენება გვემუქრება. და აი, ასეთი საგანგაშო მდგომარეობის მიუხედავად, ხელისუფლება, პრევენციული ზომების მიღების ნაცვლად, პირიქით, მოქალაქეობას ართმევს ემიგრანტებს, თანაც, ავტომატურ რეჟიმში!

თუმცა, უნდა ითქვას ისიც, რომ მოქალაქეობაჩამორთმეულ ემიგრანტებს მთელი რიგი საბუთების წარდგენის (საქართველოს ორი მოქალაქის რეკომენდაცია, განმცხადებელთან ურთიერთობის მითითებით; ვის რა დახმარებას უწევს იგი საქართველოში; მისი წლიური შემოსავალი (რა კავშირშია საქართველოს მოქალაქეობასთან ჩემი შემოსავლის ოდენობა და ვეხმარები თუ არა ვინმეს საქართველოში?! – ი.ლ.); იღებს თუ არა პენსიას უცხოეთში და რა ოდენობით; რა საკუთრება გააჩნია საქართველოში ან მის ფარგლებს გარეთ; საქართველოს მოქალაქეობის მიღების მოტივი(!) და კიდევ სხვა საბუთები) და 250-500 ლარის გადახდის შემდეგ (80 ან 30 დღეში განაცხადზე პასუხის მისაღებად) „საგამონაკლისო წესით“ მას კვლავ ანიჭებენ (ან არ ანიჭებენ) ჩამორთმეულ მოქალაქეობას, ოღონდაც... შეზღუდული(!) უფლებებით.




რაში გამოიხატება უფლებების შეზღუდვა? რაში და, თუკი უცხოეთში ხელი გაანძრიე (აბა, სხვაგვარად ხომ ვერც თავს ირჩენ და ვერც ვერავის დაეხმარები!), 10 წელი მაინც იმუშავე და პენსიაც დაიმსახურე, ასეთ შემთხვევაში, ეს ჩვენზე მზრუნველი ხელისუფლება სულ წყალში გიყრის საქართველოში ნამუშევარ 35-40 წელიწადს. ისაო, ესაო, მაგრამ 2006 წლის „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად (მუხლი 5, პუნქტი 5), აქაური პენსია არ გეკუთვნისო! არა, თუ გინდა აირჩიე – იქაურ პენსიაზე, დაახლოებით 1 000 დოლარზე უარი თქვი და აქაურ 150 ლარს (სექტემბრიდან უკვე 160-ს!) აღარ წაგართმევთო! ხომ ძალიან მაგარი თავების, მარაგი ჯიშის ხისთავიანების, მოფიქრებული კანონია!

ათასობით (თუ ათეულ ათასობით!) თურქს, აფრიკელს, ინდოელს (ნებისმიერ უცხოელს) და მათი ოჯახის წევრებს, რომლებსაც ერთი დღეც არ უმუშავიათ არც თავიანთ სამშობლოში და არც – საქართველოში, რომლებმაც არც ქართული იციან და არც საქართველოს თვლიან თავიანთ სამშობლოდ და, რომელთაც პრეზიდენტი სააკაშვილი უხვად ურიგებდა საქართველოს მოქალაქეობას 2004-2012 წლებში (კაცმა არ იცის რა დამსახურებისთვის!), საპენსიო ასაკის მიღწევისთანავე ენიშნებათ საქართველოს პენსია, ქართველს კი, რომელმაც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება საქართველოში და საქართველოსთვის გაატარა, მას ... ხვიშტი, ბრანწი! ყოველწლიურად (ორ ათეულზე მეტი წლის მანძილზე!) უცხოეთიდან საქართველოში გადმორიცხული (თუ ჩამოტანილი) მილიარდებისთვის მადლობაო (ალბათ, უთხრეს დიასპორის წარმომადგენლებს ეს მადლობა, თუმცა, დარწმუნებული არ ვარ), მაგრამ **„რადგან დღეს ასეთი კანონი მოქმედებს, ვიმოქმედოთ კანონის შესაბამისად“,** მშვიდად გვიხსნის პრეზიდენტი, ანუ კანონით(!) ქართული პენსია არ გეკუთვნითო! გინდა 1,5 მილიონ ემიგრანტს მოუთხოვია ქართველისთვის მოქალაქეობის ავტომატურად შეწყვეტის ყოვლად გაუმართლებელი კანონის გაუქმება და გინდა, ძაღლს დაუყეფია! რა გვიკვირს, ახლანდელი ხელისუფლებაც ხომ ნაციონალების დროს მიღებული კანონებით გველაპარაკება და არც აპირებს რაიმეს შეცვლას!

მარტო პენსიის წართმევით არ ირღვევა „საგამონაკლისო წესით“ საქართველოს მოქალაქეობამინიჭებული პირების უფლებები (სახელიც ხომ მაგარი მოიფიქრეს – „საგამონაკლისო წესით“, ანუ გამონაკლისის სახით, სამადლოდ გვანიჭებენ თურმე მოქალაქეობას!). სახელმწიფო ისე დაწვრილმანდა, რომ ამ კატეგორიის საპენსიო ასაკის ხალხს იგი სატრანსპორტო შეღავათებით სარგებლობის უფლებასაც ართმევს! აქ პენსიის ან შეღავათის მატერიალურ ოდენობაზე და სახელმწიფოს მიერ ნაჭამ სირცხვილზე არაა მხოლოდ საუბარი, აქ პრინციპია მთავარი – ნებისმიერი სახელმწიფოს მოქალაქეობის მიღება ამ სახელმწიფოს სხვა მოქალაქესთან უფლებებში გათანაბრებას ნიშნავს, სხვანაირად დისკრიმინაციაა!

სწორედ, ამ მოქალაქეობაწართმეული ხალხის მიერ ყოველწლიურად გადმოგზავნილი თუ ჩამოტანილი მილიარდობით(!) დოლარის წყალობით გადარჩა ფიზიკურად საქართველოში დარჩენილი უამრავი ადამიანი. განა საქართველოს ბიუჯეტისთვის ეს უდიდესი შეღავათი არ იყო? როგორც კი იკლო გადმორიცხვებმა, მაშინვე დაეტყო ეს ბაზარსაც და ლარსაც! ისრაელი, მხოლოდ და მხოლოდ ებრაელობისთვის ანიჭებს მოქალაქეობას, შენ კი, საქართველოს ხელისუფლება რომ გქვია (მთავრობა, პარლამენტი, პრეზიდენტი) დღედაღამ საქართველოზე მაფიქრალ ქართველებს, პირიქით, ართმევ მოქალაქეობას?! და 30-40-წლიანი შრომით(!) მოპოვებულ, დამსახურებულ პენსიასაც?! კი მაგრამ, ვინ მოგცათ ამის უფლება, ეს ხომ ძარცვაა, უთოფო ყაჩაღობა! ასეთნაირად უხდით მათ მადლობას? სულ დაკარგეთ ჭკუა და სინდის-ნამუსი?!

ამასთან დაკავშირებით, ერთ ძალზე საყურადღებო სტატისტიკურ ანალიზს მოგაწვდით: ბოლო წლების მანძილზე 16 800 ადამიანმა მიმართა საქართველოს პრეზიდენტს მოქალაქეობის აღდგენის თაობაზე, აქედან 92 %-ს ანუ დაახლ. 15 000-სს დაუბრუნდა საქართველოს მოქალაქეობა. ახლა ვიკითხოთ: მათგან რამდენი იქნება საპენსიო ასაკს მიღწეული, და მერე, ამ კატეგორიიდან კიდევ რამდენი იქნება ისეთი, ვინაც, ვთქვათ, ამერიკაში 10 წელი მაინც იმუშავა (ეს არის პენსიის მოსაპოვებლად აუცილებელი მინიმალური შრომითი სტაჟი) და პენსია დაიმსახურა? ამის სტატისტიკა არ ქვეყნდება, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ ასეთი ხალხი სულ რამდენიმე პროცენტი, ანუ სადღაც 400-500 კაცი თუ იქნება. ამ ხალხს, საქართველოში დაბრუნებით თან შემოაქვს დაახლ. 400-500 ათასი დოლარი ყოველთვიურად, ანუ დაახლ. 12-15 მილიონი ლარი წელიწადში. რით არ არის ეს უანგარო ინვესტიცია? ჩვენი ხელისუფლება ხომ გამუდმებით ინვესტორების ნაკლებობაზე წუწუნებს! ამ 400-500 კაცისთვის წართმეულ საქართველოს პენსიას კი სჭირდება მხოლოდ 750-950 ათასი ლარი წელიწადში, 15-20-ჯერ ნაკლები! და, რაც ძალზე მნიშვნელოვანია, არც ამ თანხის გადახდა მოუწევს ხელისუფლებას ბიუჯეტიდან, ანუ ისედაც გაჭირვებული მოქალაქეების ჯიბიდან! როგორ? ესეც ძალიან მარტივად!

როგორც ზემოთ აღვნიშნე, მოქალაქეობის მინიჭებაზე განმცხადებელმა უნდა გადაიხადოს ე.წ. „მოქალაქეობის მინიჭების საფასური“ (250-350-500 ლარი), რაც იმას ნიშნავს, რომ 16 800 ჩემისთანა მთხოვნელს უკვე შემოტანილი აქვს დაახლ. 6-7 მილიონი ლარი, რაც საკმარისი იქნებოდა ამ 400-500 კაცისთვის საქართველოს პენსიის – 160 ლარის გადასახდელად 8-9 წლის განმავლობაში! ვინ დაიჯერებს, რომ ასეთი უმარტივესი გაანგარიშების თავი არა აქვთ პარლამენტის შესაბამის კომიტეტებში და „ამერიკა მე აღმოვაჩინე“! რა თქმა უნდა, არავინ. ისღა დაგვრჩენია ვიფიქროთ, რომ მათ, პრეზიდენტის ჩათვლით, უბრალოდ, დიდად არ აინტერესებთ (არ ანაღვლებთ!) ეს პრობლემა და ამიტომ არც კი ეცნობიან იმ მოთხოვნებს, რაც, ხელისუფლების სამარცხვინოდ, აბსოლუტურად ერთნაირად წაეყენება საქართველოს მოქალაქეობის ყველა მსურველს – უცხოტომელსაც და ქართველსაც! მხოლოდ უცხოტომელისგან რომ მოითხოვდნენ ზემოთ მითითებულ საბუთებს და საფასურსაც გვარიანს ახდევინებდნენ მათ, არაფერი იქნებოდა გასაკვირვი და მიუღებელი, მაგრამ **როცა საქართველოში დაბადებული, დედ-მამით ქართველისგან ორი კაცის რეკომენდაციას(!) ითხოვთ მისთვის საქართველოს მოქალაქეობის აღსადგენად, ამაში ჩვენს შეურაცხმყოფელს და დამამცირებელს ვერაფერს ხედავთ ბ-ნო პრეზიდენტო?! მოქალაქეობას ანიჭებთ თუ პარტიაში იღებთ?!**

**იაკობ ლეჟავა,**
3 ოქტომბერი, 2015

---

⊙ ალიან-ჩალიანი

## ლევილის მამულს მალე გადმოგვცემენ

**პარიზში, საქართველოს საელჩოში ლევილის შატოს მამულისა და ქონების საქართველოსათვის გადმოცემის და მისი შემდგომი ფუნქციის განსაზღვრის მიზნით შექმნილი კომისიის სხდომა გაიმართა.**

**სხდომას სახელმწიფო მინისტრი დიასპორის საკითხებში გელა დუმბაძე თავმჯდომარეოდა. პარიტეტული კომისიის წევრები იყვნენ ქართული მხარიდან: საქართველოს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი, საფრანგეთში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი გოჩა ჯავახიშვილი, ხოლო, ფრანგული მხრიდან: ქართული კერას წარმომადგენლები – ირენ ციციშვილი, ტიერი ბერიშვილი და ეთერ ფაღავა.**

**სხდომაზე, რომელიც 5 საათი გრძელდებოდა, ლევილის მამულის საქართველოსთვის გადაცემის პროცესის წინა მოსამზადებელი პერიოდი, ლევილის მამულის საქართველოსთვის გადაცემის ტექნიკური დეტალები განიხილეს და შეთანხმდნენ, რომ დიაგნოსტიკური წინასწარი შეფასების საპროექტო სამუშაოების შემდეგ, ლევილის საქართველოსთვის გადაცემა შეუქცევადი პროცესი გახდება.**

ინტერპრესი

სიბრძნე



ბოდიშს მოვიხდი მკითხველთან, მაგრამ ჩემს ერთ-ერთ წინა პუბლიკაციას უნდა დავუბრუნდე.

...შარშან, თორმეტამდე ნარკვევი გამოვაქვეყნე „საქართველოს რესპუბლიკაში“ სერიით „წმინდა მიწა“. შევეცადე მოგზაურული ჟანრის „გადალმაც“ გადავსულიყავი და, შეძლებისდაგვარად, მომეთხრო თქვენთვის ამ გმირი ხალხის ისტორიის ფრაგმენტები მაინც.

ერთ-ერთი ნარკვევის სათაური ასეთი იყო, – „უფალი ერთია და მას სიყვარული ჰქვია“!

და მასში ერთ-ერთი აბზაცი ასე ჟღერს:

**ნავთობით და წმინდა ქვეყნები. ჩვენ შეგვხვდა წმინდა ქვეყანა, იმიტომ, რომ იქ სხვა არაფერი იყო, ჩვენ მარტონი ვიყავით. არავინ იყო ჩვენს გარშემო ერთმორწმუნე, ჩვენი ენა არავის ესმოდა. არც ისტორიული მეზობლები გვყავდა გარშემო და ეს ხდებოდა ჰოლოკოსტის შემდეგ. ჩვენ მივედით იქ და მართლა არ ვიცოდით რა გვექნა. ხალხი მეკითხებოდა, როგორ შევინარჩუნოთ აქტიურობაო. ეს ძალიან მარტივია. დაითვალეთ გონებაში თქვენი მიღწევები და ოცნებები. თუ ოცნებები უფრო მეტია, ვიდრე მიღწევები, ე. ი. თქვენ ჯერ კიდევ ახალგაზრდები ხართ.**

**არჩევანი ასეთი იყო:**

**პირველი — ხალხი უნდა გამხდარიყო მამაცი, მათ უნდა შეეგნოთ, რომ ჩვენ არჩევანი არ გვქონდა, უნდა გაგვემარჯვა. თუ ერთხელ მაინც დავმარცხდებოდით, ამით დამთავრდებოდა ჩვენი ისტორია.**

**მეორე — ჩვენ არ გვქონდა იარაღი. დავიწყეთ მისი წარმოება, არმია უკეთესი რომ გაგვეხადა, დავიწყეთ IT-ტექნოლოგიების განვითარება. ისრაელის IT-სექტორი მთლიანად ჯარზე მუშაობდა, ეს იმიტომ, რომ გარშემო მხოლოდ მტრები გვეხვია.**

**რატომ გიყვებით ამ ყველაფერს? ახალგაზრდებო, მეგობრებო, ახლა ყველაფერი სხვაგვარადაა, თქვენ ბევრად მეტი გაქვთ, ვიდრე გვქონდა ჩვენ. ნუ იზარმაცებთ! თქვენ შეგიძლიათ შექმნათ ბევრად მეტი. შექმნათ ისეთი რამ, რაზეც აქამდე ხელი არ მიგვიწვდებოდა.**

**უკრაინა — ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქვეყანაა მსოფლიოში, სოფლის მეურნეობის სფეროში. თუ გინდათ რამეს მიაღწიოთ, უნდა იმუშაოთ, ციდან არაფერი ცვივა, ჩვენ ისრაელში ბევრს ვმუშაობდით, რა არის ამაში ცუდი? რატომ მიდიან ადამიანები შვებულებაში? ეს დროის ფუჭად კარგვაა. მე 90 წლის ვარ და არასოდეს ვყოფილვარ შვებულებაში. მეკითხებიან — გაგიჟდი? როდის ისვენებ? მაგრამ მე დასვენებას მუშაობა მირჩევნია. მუშაობის დროს ბედნიერი ვარ. ნუ იქნებით პესიმისტები, ესეც დროის ფუჭად კარგვაა.**

**მეცნიერებას უნდა მივსდიოთ. მას საზღვრები არ აქვს. ნუ ეცდებით წარსულის პრობლემების გადაწყვეტას. მე არ ვიცი, შესაძლებელია თუ არა ეს საერთოდ. იფიქრეთ მომავალზე. წარსულს არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. უბრალოდ, შეისწავლეთ ის, რომ აღარ გაიმეოროთ ადრე დაშვებული შეცდომები. წარსულს არ აქვს მომავალი და არც იმედი. ადამიანების უმრავლესობა ამჯობინებს გაიხსენოს და არა წარმოიდგინოს, იოცნებოს, ეს დიდი შეცდომაა. რა გინდათ, რომ გახსოვდეთ? თქვენს მიერ დაშვებული შეცდომები? ისტორიას ვერ დაეყრდნობით, ის არაფერს მოგცემთ. ისტორიკოსები იყვნენ მეფეთა ან მათი მეხოტბეები, ვინც ხელისუფლებაში იყო.**

**ადამიანებს ეშინიათ... მაგრამ მხოლოდ ღმერთმა იცის რა მოგველის.**

**მეკითხებიან რა იყო თქვენი ყველაზე დიდი შეცდომაო. მე ვუპასუხებ, რომ გვქონდა უამრავი ოცნება, მაგრამ ახლა ვხვდები, რომ რაც უფრო ბევრი გაქვს ის და მიუწვდომელია, მით უფრო მეტს მიაღწევ. იოცნებეთ რაღაც დიდზე და მას აუცილებლად მიაღწევთ.**

**თქვენი ახალგაზრდა თაობა შესანიშნავია, მაგრამ რაც მათში არ მომწონს ისაა, რომ არ უყვართ პოლიტიკოსები. ისინი ლაპარაკობენ, რომ პოლიტიკა კორუმპირებულია, მე ვეუბნები მათ, თქვენ არ ხართ კორუმპირებული, მაშინ წადით პოლიტიკაში და აღარ იქნება ის კორუმპირებული.**

**ეს არის გაკვეთილები, რომელიც მე მივიღე წარსულიდან.**

# „ჩვენ ვოცნებობდით ჩვენს მიწაზე!..



„...გვეამაყებოდა, რომ დანიელის ქვეყანაში ვიყავით, პროფესორ ვაინშტაინის ქვეყანაში ვიყავით, რომ ზურაბის ქვეყანაში ვიყავით და დანარჩენი ებრაელების ქვეყანაში ვიყავით, რომელთაც ასე უყვარდათ საქართველო და ღმერთი! ...და განსაკუთრებით აღმერთებენ ქვეყანას თავისას“.

დიახ! აღმერთებენ თავიანთ სამშობლოს, რომელსაც საუკუნეების შემდეგ დაუბრუნდნენ ებრაელები და დაიწყო!...

დაიწყო სასწაული!...

როგორ მოხდა ეს?... როგორ მოახდინა ეს სასწაული ერთ მუშტად შეკრულმა ხალხმა? მასზე შთამბეჭდავად ისაუბრა თავის ერთ-ერთ გამოსვლაში ისრაელის მეცხრე პრეზიდენტმა, ბატონმა შიმონ პერესმა და მინდა ჩვენს მკითხველებსაც გავუზიარო ეს შესანიშნავი ტრაქტატი, რამეთუ მასში დიდებულად არის გადმოცემული ებრაელი ხალხის სულიერი სიძლიერე და სიამაყე:

**„ჩვენ ვოცნებობდით ჩვენს მიწაზე, მაგრამ მიწა, რომელიც მივიღეთ, არ იყო ოცნება. ეს იყო ახლო აღმოსავლეთში პატარა მიწა, რომელიც ჩვენ არც თუ ისე კარგად მოგვეპყრო. იქ იყო ჭაობიანი, კოღოებით სავსე, სამხრეთით უდაბნო, ქვიანი მიწა. არჩევანი უნდა გაგვეკეთებინა კოღოებსა და ქვებს შორის. დაგვხვდა ორი ტბა მკვდარი და მომაკვდავი, იყო ცნობილი მდინარე იორდანე, მაგრამ დამშრალი. არანაირი ბუნებრივი რესურსები, არც ოქრო და არც ნავთობი. ამბობდნენ, რომ ახლო აღმოსავლეთში არის ორი ტიპის ქვეყანა — ქვეყნები**

**ჩვენ მივხვდით, რომ ბუნების ყველაზე დიდი სიმდიდრე ადამიანია. ადამიანებმა გაამდიდრეს მიწა და არა პირიქით. ჩვენ გავხდით მეცნიერები. ყველა ფერმა ისრაელში, ყველა კიბუცი ფიქრობდა იმაზე, როგორ განევითარებინა სოფლის მეურნეობა უწყლოდ და უმიწოდ. მე თვითონ მაშინ ვსწავლობდი აგრარულ უნივერსიტეტში, ვცდილობდით საირიგაციო სისტემის მოწყობას, ხეებს თბილი წყლით ვრწყავდით, გვეგონა, რომ ასე უკეთესი იქნებოდა.**

**ჩვენდა გასაოცრად დავადგინეთ, რომ სოფლის მეურნეობა დაფუძნებულია არა მხოლოდ მიწაზე, არამედ მაღალ ტექნოლოგიებზე, — მართლა მუშაობს და შედეგს იძლევა. ჩვენ ახლა საკმარისი წყალი გვაქვს. საერთოდ წყალს პოულობენ, ის არ მოიპოვება როგორ ნავთობი, მაგრამ ჩვენ შევძელით და მოვიპოვებთ მას. ზღვის წყლის გამტკნარება დავიწყეთ. ჩვენ „მივაგენით“ ხილსა და ბოსტნეულს, რომელსაც ბევრი წყალი არ სჭირდება. გამოვიყვანეთ ახალი ჯიშები, რომლებიც შეეგუენ უდაბნოს. ეს არის ჩვენი საიდუმლო.**

**მომავლისათვის მთავარია არა ის რას პოულობ, არამედ ის, რა გინდა რომ გააკეთო.**

**ჩვენ არ გვყავდა ხალხი, არ გვქონდა შეიარაღება, არასოდეს გვიომია, სულ 450000 ვიყავით, არ გვყავდა გენერლები, არ გვქონდა სამხედრო გამოცდილება. როცა გადაწყდა ისრაელის სახელმწიფოს შექმნა, ჩვენ უკვე ომში ვიყავით ჩართული. რა უნდა გვექნა?**

...ო, ღმერთო ჩემო! რაოდენ საგულისხმოა ბატონ პერესის ეს სიბრძნე! ამიტომ, ვისურვებდი ამ შემართებით გვეშენებინოს მამული ჩვენი, ჩემო ქართველებო და არა ქიშპითა და ღვარძლით!

**ზაურ ფიფია**

# დედამიწის ზურგზე

## ტაჯიკეთის მთავარი ოპოზიციური პარტიის ლიდერებს შეიარაღებულ აჯანყებაში დასდეს ბრალი

ტაჯიკეთის გენერალურმა პროკურატურამ განაცხადა ტაჯიკეთის ისლამური აღორძინების პარტიის 23 აქტივისტისა და უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრების დაპატიმრების შესახებ. მათ წინააღმდეგ აღძრულია სისხლის სამართლის საქმეები ტერორიზმის, რასობრივი და რელიგიური ზიზღის აღძვრისა და შეიარაღებული აჯანყების მუხლებით. დაპატიმრებულებს სათავეში ედგათ რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის ყოფილი მოადგილე აბდუხალიმ ნაზარზოდა.

## ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლებამ სირიაში რუსეთის შეიარაღებულ ოპერაციას „სტრატეგიული შეცდომა“ უწოდა



როგორც ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსამსახურის უფროსის მოადგილემ მარკ ტონერმა აღნიშნა, ჯერჯერობით ვაშინგტონში ხედავენ მხოლოდ მას, რომ რუსეთი ერევა სამოქალაქო ომში ქვეყნის პრეზიდენტ ბაშარ ასადსა და ზომიერ ოპოზიციას შორის, აყენებს ავიადარტყმას რეჟიმის მოწინააღმდეგეების დისლოკაციის ადგილებში, და არა „ისლამური სახელმწიფოს“ ბოევიკებს.

## კომპანია „ამერიკენ აირლაინსის“ მფრინავი თვითმფრინავის შტურვალთან გარდაიცვალა, თვითმფრინავის ბორტზე 150-ზე მეტი კაცი იმყოფებოდა

57 წლის მაიკლ ჯონსტონის სიცოცხლის გადარჩენას ცდილობდა სტიუარდესა, რომელსაც ჰქონდა სამედიცინო დახმარების გამოცდილება, მაგრამ პილოტი გარდაიცვალა. მეორე პილოტმა მოახერხა თვითმფრინავის წარმატებული დასმა ქალაქ სირაკიუს აეროპორტში. ჯონსტონს ჰქონდა პრობლემები გულთან დაკავშირებით, თუმცა, 25 წლის განმავლობაში ფრენის პერიოდში არანაირი უსიამოვნებანი მას არ შეხვედრია.

## თურქეთის ხელისუფლებამ ბრალი დასდო რუსეთს საჰაერო სივრცის მეორედ დარღვევაში

როგორც ანკარაში განაცხადეს, ინციდენტები 3 და 4 ოქტომბერს მოხდა. პირველად თვითმფრინავი თურქეთის საჰაერო სივრცეში მოხვდა ცუდი ამინდის გამო, განაცხადეს ადრე რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროში. მეორე შემთხვევას რუსეთის მხარე ჯერჯერობით კომენტარს არ უკეთებს.

## ჯო ბაიდენი მალე ჩაერთვება ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის პოსტისათვის ბრძოლაში



ამერიკის ვიცე-პრეზიდენტმა შეიძლება განაცხადოს თავისი კანდიდატურის დასახელების შესახებ შვიდი-ათი დღის განმავლობაში, ამტკიცებენ წყაროები მისი გარემოცვიდან. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები მიუთითებენ, რომ ბაიდენს საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ კიდევ არ მიუღია.

## გვატემალაში ზვავის მსხვერპლთა რიცხვმა 160 კაცს გადააჭარბა

ტრაგედიასთან დაკავშირებით ცენტრალური ამერიკის ქვეყნის პარლამენტმა გამოაცხადა სამდღიანი ეროვნული გლოვა. ნანგრევების გარჩევას მომხდარი უბედურების ადგილზე 250 პროფესიული მაშველი აწარმოებს. კავშირგაბმულობის მინისტრის ვიქტორ კორადოს სიტყვებით, იმედი, რომ მონახავენ გადარჩენილებს, ჯერ კიდევ არსებობს.





***საქართველოში**, ჩვენს ქალაქში, ჩვენ გვერდით ცხოვრობენ ადამიანები, რომლებიც კოლოსალურად ბევრს შრომობენ, უხმაუროდ იღვწიან ქვეყნისა და ხალხისათვის. მკითხველის გასაოცრად მათ თავის გამოჩენა არ უყვართ, პირიქით, ზედმეტ ქებასა და საკუთარი წარმატების შესახებ საუბარს გაურბიან.*

*კიდევ ერთი გარემოებაც უნდა აღინიშნოს — დღეს საქართველოში მეცნიერ-ქალებზე საერთოდ არ წერენ ან წერენ ძალიან იშვიათად, არადა, ჩვენს ქვეყანას ჰყავს ძალიან გამორჩეული, ღვთის ნიჭით მომადლებული, სწავლული ქალბატონები. უსაზღვროდ მნიშვნელოვანია საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი შრომის ნაყოფი და ღვაწლი, შერწყმული ჭეშმარიტად მაღალზნეობრივ თვისებებთან: სიკეთესთან, ქველმოქმედებასთან, უანგარო სიყვარულთან, მადლიერებასა და ამაგის დაფასებასთან, თავმდაბლობასთან, სამშობლოს, ქვეყნის საერთო ტკივილის გათავისებასთან, დაკისრებული მოვალეობებისადმი უდიდეს პასუხისმგებლობასთან.*

*სწორედ ასეთად წარმოგვიდგება ჩვენ გვერდით მოღვაწე, ჩვენი თანამედროვე, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ლამარა ქოქიაური**, რომელიც მთელი ცხოვრების განმავლობაში მარცვალ-მარცვალ აგროვებს, ქმნის და ამზეურებს სიკეთეს, სიყვარულს, ზრუნვას, ყველაფერს საუკეთესოს, რაც მამაზეციერს მისთვის დაუნათლავს.*

*სწავლობდა და დაამთავრა თბილისის კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკის ნიჭიერთა სკოლა, ამაყობს ამ სახელოვანი სკოლის პირველი გამოშვებით და კიდევ იმით, რომ პირველად მაშინ შეხვდა უდიდეს ქართველ მათემატიკოსებს — ნიკოლოზ მუსხელიშვილს, ილია ვეკუას და სხვებს.*

*ბედნიერად თვლის თავს, რომ სწავლობდა და თითქმის 30 წელი მუშაობდა დედაუნივერსიტეტის ისეთი სახელოვანი ტრადიციების მქონე კათედრაზე, როგორიცაა ფინანსები და კრედიტი, სადაც მოღვაწეობდნენ ქართული ეკონომიკური მეცნიერების ბუმბერაზები — ვასილ ჩანტლაძე და პაატა გუგუშვილი — მისი პედაგოგები და გზის გამკვალავნი მეცნიერებაში.*

*ქალბატონი ლამარა პირველი პროფესორი ქალია საქართველოში ფინანსებისა და კრედიტის სფეროში. იგი 228 სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის 20 მონოგრაფიის და 22 სქელტანიანი სახელმძღვანელოს ავტორია. სამეცნიერო კვლევის ძირითად მიმართულებად თავიდანვე შეარჩია 80-იანი წლებისათვის თითქმის შეუსწავლელი სფერო — ინვესტიციები. თამამად შეიძლება ითქვას, რომ იგი პიონერია ჩვენს ქვეყანაში საინვესტიციო პრობლემების დაყენებისა და შესწავლის საკითხებში.*

*ქალბატონმა ლამარა ქოქიაურმა შვიდი წლის წინათ დააფუძნა და დღემდე ხელმძღვანელობს არასამთავრობო ორგანიზაციას — საფინანსო-საინვესტიციო პოლიტიკისა და სტრატეგიის ფონდს, რომლის მუშაობის ძირითადი მიმართულებაა სამეცნიერო-საგანმანათლებლო სფერო. ფონდი აქტიურად საქმიანობს საერთაშორისო ასპარეზზეც: ატარებს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებს, თანამშრომლობს საყოველთაოდ აღიარებული საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოების თარგმნისა და გამოცემის საქმეში და ა. შ.*

*ამ სტატიაში გესაუბრებით ფონდის ხელმძღვანელის, პროფესორ ლამარა ქოქიაურის ინიციატივითა და თაოსნობით შექმნილი მრავალწლიანი შრომის შედეგზე — ფინანსების ენციკლოპედიურ განმარტებით ლექსიკონზე.*

# ფინანსების დიდი ენციკლოპედია

მოვიშველიებთ ირაკლი აბაშიძის სახელობის ქართული ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქციის მთავარი რედაქტორის, ბატონი ზურაბ აბაშიძის სიტყვებს — **„ენციკლოპედია არის ერის ერთგვარი სარკე, წარსულის მატიანე (ჩვენ დავამატებდით — აწმყოსა და მომავლის განმსაზღვრელიც — ავტორები), მისი კულტურისა და განათლების დონის მაჩვენებელი. ამიტომ ნებისმიერ ამგვარ გამოცემას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქვეყნისათვის."**

ახლად გამოცემული ენციკლოპედია მეცნიერი ქალბატონის მრავალწლიანი შრომის შედეგია. მასში ასახულია ქვეყნის საფინანსო-საბანკო-საინვესტიციო სფეროში მიმდინარე დიდი ძვრები და ცვლილებები. მეოცე საუკუნის მიწურულს „რკინის ფარდის" დამსხვრევის შემდეგ გაიზარდა ქვეყნების ურთიერთდამოკიდებულება, მოხდა მათი გათავისუფლება პოლიტიკური და ეკონომიკური ბარიერებისაგან. ფინანსური საქმიანობის გლობალიზაციამ წარმოშვა ახალი ფინანსური ინსტრუმენტები, მათ შორის დოლარებსა და ეროვნულ ვალუტაში დომინირებული უცხოურ აქციებზე ინდექსური ოფციონები; კავშირების პროგრესული სისტემის შემოღებამ და კომპიუტერმა ერთდროულად შეამსუბუქეს და გაართულეს კიდეც ფინანსებს, ბანკებსა და ინვესტიციებს შორის დამოკიდებულება. ინფორმაციის მასივების დამუშავების სისტემებსა და ბაზრებს შორის სწრაფმა კავშირმა შესაძლო გახადა, შექმნილიყო ფინანსური რისკების მართვის, ადრე შეუძლებელი და წარმოუდგენელი, პრინციპულად ახალი მეთოდები და ინსტრუმენტები.

ავტორი შეეცადა აესახა ენციკლოპედიაში ყველა ეს და სხვა მნიშვნელოვანი სიახლე. მისივე სიტყვებით - **„შევეცადე, მოკრძალებული წვლილი შემეტანა ახალი ათასწლეულის ფინანსური, საკრედიტო და საინვესტიციო გადაწყვეტილებების მისაღებად საერთო ენის შექმნაში",** ამასთან, ავტორს წინამდებარე ნაშრომით სურს ხელი შეუწყოს იმ პროფესიული, კულტურული და ენობრივი ბარიერების დამსხვრევა-გადალახვას, რომელთა გარეშეც საქართველო საუკუნეზე მეტი ხნით იზოლირებული იყო დანარჩენი მსოფლიოსაგან.

ჩვენი ქვეყნის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის და გლობალიზაციის პირობებში ჯერ კიდევ მიმდინარეობს ახალი ტერმინოლოგიის ჩამოყალიბების პროცესი. სარეცენზიო შრომა ამ მხრივაც განსაზღვრულ, პოზიტიურ როლს შეასრულებს. ამავე დროს, მასში ჩართულია ფინანსისტების და ბანკირების ენის უკვე ტრადიციული, მყარად დამკვიდრებული ტერმინები. კერძოდ, იგი მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, აუდიტორული პრაქტიკის, კომერციული და სამომხმარებლო კრედიტის, ფინანსური სახსრების, დაზღვევის, საერთაშორისო საფინანსო და საბანკო ოპერაციების, ამ სფეროების კანონმდებლობის და რეგულირების, ფინანსური და საბანკო პროდუქტების მარკეტინგის და გაყიდვების, ანგარიშსწორებისა და ანგარიშგების ავტომატიზებული სისტემების, ფასიანი ქაღალდების და ინვესტიციების, უძრავი ქონების დაკრედიტების და ა.შ. ახსნა-განმარტებებს. ამასთან, ავტორი უბრალოდ კი არ იფარგლება ტერმინების რუსულ და ინგლისურ ენებზე თარგმნით და მხოლოდ განმარტებით, არამედ იძლევა მათ სიღრმისეულ ახსნა-განმარტებას (მაგალითად, გადასახადები და გადასახადის ელემენტები, ბიუჯეტი და ბიუჯეტური სისტემა, საბანკო რისკები, საგარეო ვალი, ვალუტა და სავალუტო ოპერაციები, დაზღვევა და სადაზღვევო ოპერაციები, ფინანსები, მისი ისტორია და თანამედროვე სისტემები და ა. შ.).

საინტერესოა ფინანსების ენციკლოპედიის გამოცემის ავტორისეული იდეა. შესაძლებელია ამ სფეროში გაუცნობიერებელი მკითხველისათვის გაურკვეველი იყოს ახალი ფინანსური განმარტებითი ენციკლოპედიური ხასიათის ლექსიკონის შექმნა, მაგრამ ქალბატონი ლამარა ქოქიაური ფინანსებში ენციკლოპედიის გამოცემას შემდეგი ფაქტით ხსნის: **დღემდე საქართველოში ხელმისაწვდომი იყო ფინანსურ-საკრედიტო ლექსიკონები მხოლოდ რუსულ და ინგლისურ ენებზე, კერძოდ, რუსულ ენაზე — ვ.გარბუზოვის რედაქტორობით 1984-1988 წლებში გამოცემული ფინანსურ- საკრედიტო ლექსიკონი და ა. გრიაზნოვას რედაქტორობით 2004 წელს გამოცემული ფინანსურ-საკრედიტო ენციკლოპედიური ლექსიკონი ინგლისურ ენაზე; 1997 წელს გამოცემული ფინანსების ოქსფორდის განმარტებითი ლექსიკონი; 1997 წელს ჩარლზ ვულფელის საბანკო საქმისა და ფინანსების ენციკლოპედია; 1995 წელს ჯ. დოვნის და ჯ. გუდმანის ფინანსების და ინვესტიციების ტერმინების ლექსიკონი;1993 წელს მ. ჯერი როზენბერგის ინვესტირების ლექსიკონი; 2003 წელს გამოცემული ფ. ჯეიმს ნიელსენის საბანკო ტერმინოლოგია და ა.შ. თუმცა ისინიც უკვე სრულად ვეღარ ასახავენ ფინანსურ-საკრედიტო სფეროში მიმდინარე ახალ მოვლენებს, ენობრივი ბარიერის გამო ქართველი მომხმარებლისთვის მათი გამოყენებაც გაძნელებულია.**

თუ არ ჩავთვლით ზოგადად ეკონომიკასა და დემოგრაფიაში გამოცემულ პ. გუგუშვილის, ლ. ჩიქავას, რ. ასათიანის, ა. სილაგაძის და სხვ. გამოცემულ ნაშრომებს, ფინანსებში, საბანკო საქმესა და ინვესტიციებში დღემდე არ გამოცემულა დარგობრივი ხასიათის არც ერთი სერიოზული ტერმინოლოგიური, არც ენციკლოპედიური ხასიათის განმარტებითი ლექსიკონი, მით უმეტეს, ინგლისური და რუსული შესატყვისებით.

არც საქართველოშია ამ მხრივ უკეთესი მდგომარეობა, თუ არ ჩავთვლით ზოგადად ეკონომიკასა და დემოგრაფიაში გამოცემულ პ. გუგუშვილის, ლ. ჩიქავას, რ. ასათიანის, ა. სილაგაძის და სხვ. გამოცემულ ნაშრომებს, ფინანსებში საბანკო საქმესა და ინვესტიციებში დღემდე არ გამოცემულა დარგობრივი ხასიათის არც ერთი სერიოზული ტერმინოლოგიური, არც ენციკლოპედიური ხასიათის განმარტებითი ლექსიკონი, მით უმეტეს, ინგლისური და რუსული შესატყვისებით.

**11 177 ტერმინისაგან შემდგარი ენციკლოპედია ფინანსებში მომზადდა და გამოიცა იმ იმედით, რომ იგი ხელს შეუწყობს და დააჩქარებს ფინანსებში, საბანკო საქმესა და ინვესტიციებში ინფორმაციისა და იდეების გაცვლას, გარკვეულ წვლილს შეიტანს ტერმინების უნიფიკაციაში, პოზიტიურ როლს შეასრულებს ახალი ათასწლეულის ფინანსური, საკრედიტო და საინვესტიციო გადაწყვეტილებების მისაღებად ახალი ტერმინოლოგიის ჩამოყალიბების პროცესში.**

ფინანსების განმარტებითი ლექსიკონის აღნიშნულ გამოცემას წინ უძღვოდა ფინანსების, საბანკო საქმის და ინვესტიციების ერთიანი ტერმინოლოგიის ერთტომეულის გამოცემა 2009 წელს. წინამდებარე შრომის გამოცემით ავტორმა, ფაქტია, რომ შეძლო თავისი უდიდესი მნიშვნელობის ჩანაფიქრის განხორციელების დიდი ეტაპი — მოიძია, სისტემაში მოიყვანა, შეაჯერა, მკითხველისათვის გასაგები ენით წარმოადგინა უშუალოდ ფინანსური მეცნიერების შესახებ არსებული თითქმის ყველა ტერმინის სახელწოდება, ეტიმოლოგია, რუსული და ინგლისური შესატყვისები, სახელმძღვანელოდ გამოსაყენებელი სალექსიკონო სტატიები.

ერთსა და იმავე სიტყვას სხვადასხვა კონტექსტში სხვადასხვა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, სიტყვას იმდენი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს, სპეციალიზაციის რამდენი სფეროც არსებობს. ფინანსების ენციკლოპედიის მიზანია, ფართოდ მოიცვას ყველა ეს ტერმინი და მოხდეს მათი მრავალსახეობიდან ცალკეული საკვანძო მნიშვნელობის დეფინიციაციების განსაზღვრა. ამდენად, განმარტებითი ლექსიკონი ხელს შეუწყობს, სპეციალისტებმა ზუსტად, სწორი ტერმინოლოგიით გამოთქვან თავიანთი აზრი ეკონომიკის ამ სფეროში.

ნიჭით და შრომისმოყვარეობით განთქმული ქალბატონი ერთ-ერთ თავის შრომაში წერს, რომ ყველა ადამიანი გარკვეული მისიით არის ამქვეყნად მოსული. რაოდენ სასიხარულო და დასაფასებელია, რომ მას ამ ცხოვრების მიზანი, სიკეთის თესვასა და ცოდნის შეძენასთან ერთად, ახალგაზრდა თაობის, სტუდენტების, მაგისტრანტების, დოქტორანტებისათვის და არა მარტო მათთვის, შესანიშნავი მონოგრაფიების, სახელმძღვანელოების, სამეცნიერო შრომების შექმნაა.







ერთი იშვიათი მოვლენის ახსნასაც შევეცდებით — **მეცნიერი ქალბატონი ქართველ ეკონომისტთა შორის ერთი გამორჩეული თვისებითაცაა ცნობილი - რასაც ხელს მოჰკიდებს, ბიზნესი იქნება ეს თუ განათლების სფერო, თავისი მუშაობის და კვლევის არეალში მოაქცევს, იმდენად სრულყოფილად და ყოვლისმომცველად შეისწავლის და მიაწვდის ხოლმე საზოგადოებას, იმის იქით თითქმის ყველა „გზას კეტავს". ასე იყო და არის მისი დიდი ნაშრომები „ინვესტიციის ბაზარი", „საინვესტიციო საქმე" და „ინოვაციები"; ასეთია მისი საყოველთად აღიარებული საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოები - „საბანკო საქმე", „საინვესტიციო მენეჯმენტი და პოლიტიკა", „ფინანსური ბაზარი და ფასიანი ქაღალდები" და ა.შ. ასეა ახლაც. იმდენად დიდი, სრულყოფილი და სრული სახითაა ფინანსური ენციკლოპედია წარმოდგენილი, რომ მას თამამად შიძლება ვუწოდოთ „ფინანსების დიდი ენციკლოპედია".**

დღეს ამ სტატიაში არ „გვენანება" მეცნიერ ქალბატონზე კარგი სიტყვის თქმა. ამიტომ ერთსაც დავამატებდით — ამგვარ შრომებს ათეულობით ადამიანის რამდენიმეწლიანი, მუხლჩაუხრელი შრომა სჭირდება; ვინც გამოცდილია და უმუშავია ამ სფეროში, იცის, რა დამღლელი შრომა, რუდუნება სჭირდება ამგვარი ენციკლოპედიების შექმნასა და გამოცემას. ასე იქმნება და გამოიცემა საქართველოში მდიდარი ენციკლოპედიები, ტერმინოლოგიური ლექსიკონები. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, დღეს ქართველ საზოგადოებას ერთი ადამიანის მიერ დაწერილი, გამოცემული საერთო ჯამში 131 ნაბეჭდი-თაბახის, „მოკრძალებული", მშვენიერი ნაშრომი წარმოვუდგინეთ.

**ფინანსების ენციკლოპედიური განმარტებითი ლექსიკონი პროფესორ ლამარა ქოქიაურის შემოქმედების ერთ-ერთი თვალსაჩინო ნიმუშია. იგი თავისი სიღრმით, ყოვლისმომცველობით, მეცნიერული და პრაქტიკულ-გამოყენებითი თვალსაზრისით გამორჩეული და ორიგინალური ნამუშევარია. იგი მთლიანად პასუხობს ფინანსური მეცნიერების წინაშე დღევანდელობის მოთხოვნებს, რამეთუ მასში საცნობარო ლიტერატურის ფორმატების დაცვით ცდილობს მკითხველს მიაწოდოს აგრეთვე ეროვნულ ეკონომიკაზე გლობალური პროცესების ზემოქმედების თავისებურებები, ფინანსების, საბანკო საქმისა და ინვესტიციების განვითარების ძირითადი ტენდენციები, სადაზღვევო სისტემების, საგადასახადო აპარატის, ბიუჯეტის, საგარეო და სახელმწიფო ვალის და სხვა ძირითადი ფინანსური კლასიფიკატორების, მათი კონცეფციების, თეორიების ამომწურავი, თანმიმდევრული ახსნა.**

აღმზრდელი-მასწავლებლებისადმი მადლიერების გამოხატვით განთქმული პროფესორი ქალი ფინანსების ენციკლოპედიასაც თავის ამაგდარ პედაგოგებს — აკადემიკოსებს პაატა გუგუშვილს, ვასილ ჩანტლაძეს და პროფესორ გივი გამსახურდიას უძღვნის. ეს მისი განუმეორებელი ხელწერაა.

და კიდევ ერთი — მართალია, დღეს და შეიძლება მთელი ცხოვრებაც, საქართველოში ფინანსების დარგში პირველი დოქტორი ქალი მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ჩრდილში დგას, მაგრამ იცით, მისთვის სიხარული რას მოაქვს? მის წიგნებს სტუდენტები ბიბლიოთეკებში რომ ეძებენ, უნივერსიტეტებში პროფესორ-მასწავლებლები მის სახელმძღვანელოებს და პროგრამებს რომ იყენებენ. ეკონომიკური პროფილის უნივერსიტეტების ბიბლიოთეკებში მისი მონოგრაფიები რომ დევს და მათით სარგებლობს სტუდენტი ახალგაზრდობა ფინანსური მეცნიერების შესწავლაში.

მისთვის დიდი ბედნიერებაა, რომ ცოდნით გამორჩეულ ინტელექტუალ ბავშვებს ზრდის: 1992 წელს მისი დაარსებულია საქართველოში პირველი კერძო სკოლა; საუცხოო სტუდენტი ახალგაზრდების აღზრდას ემსახურებოდა ჯავახიშვილის უნივერსიტეტში თითქმის 30 წლის განმავლობაში. სხვა რაღას დაიტევს ერთი ადამიანის ცხოვრება!

როგორც ყველა ქართველის სულიერი მოძღვარი, მისი უწმინდესობა ილია მეორე ბრძანებს, რომ ყოველი ადამიანი სხვების მახარობელი და სხვათა გამხარებელი უნდა იყოს.

ქალბატონი ლამარა ქოქიაური, არ ვაჭარბებთ, ხალხის მსახური და სხვების მახარობელია თუნდაც იმიტომ, რომ თითქმის 2090-გვერდიანი, ათი წლის დაუღალავი შრომით შექმნილი ფინანსების ენციკლოპედიური განმარტებითი ლექსიკონი ბევრ ადამიანს მოუტანს სიხარულს. არ გადავაჭარბებთ და ვიტყვით, რომ იგი ყველა ფინანსისტის სამაგიდო წიგნი გახდება.

**ნანა ასლამაზიშვილი,**
**პროფესორი, საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული სტატისტიკის განყოფილების უფროსი;**

**მაყვალა სხირტლაძე,**
**პროფესორი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი;**

**იაკობ მესხია,**
**პროფესორი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი;**

**ლოიდ ქარჩავა,**
**პროფესორი, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი;**

**ავთანდილ ლომსიანიძე,**
**მთავარი სპეციალისტი.**

# ელჩი გიორგი მარგველაშვილის ბრალდებას უპასუხებს



**საქართველოს ელჩი აშშ-ში არჩილ გეგეშიძე საქართველოს პრეზიდენტის განცხადებას უპასუხებს იმის შესახებ, რომ არჩილ გეგეშიძემ კანონმდებლობა და დიპლომატიური ეტიკეტი დაარღვია, როდესაც აშშ-ში ვიზიტით მყოფ საქართველოს პრეზიდენტს არ შეხვდა.**

არჩილ გეგეშიძის თქმით, იგი ვალდებული იყო გაეროს გენერალურ ასამბლეაზე საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურის ირაკლი ღარიბაშვილის გვერდით ყოფილიყო, რომელიც საქართველოს ოფიციალურ დელეგაციას ხელმძღვანელობდა. მისი თქმით, ამ დროს პრეზიდენტი სხვა ქალაქში იყო, რაც ელჩისთვის არაორდინარულ ვითარებას ქმნიდა.

**„საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით საქართველოს მთავრობა არის აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანო, რომელიც ახორციელებს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას,. ხოლო საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური არის პრემიერ-მინისტრი.**

**დიპლომატიური წარმომადგენლობის უფლება-მოვალეობები დაწვრილებით არის გაწერილი მთავრობის დადგენილებაში, ასევე, საგარეო საქმეთა მინისტრის ბრძანებაში საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების საქმიანობის წესის შესახებ. კონსტიტუციაში არ წერია, როგორი უნდა იყოს ელჩის მოქმედება ისეთ არაორდინარულ ვითარებაში, როდესაც ორ სხვადასხვა ქალაქში ერთდროულად იმყოფება, ერთი მხრივ, ოფიციალური დელეგაცია პრემიერის ხელმძღვანელობით და, მეორე მხრივ, პრეზიდენტი სამუშაო ვიზიტით.**

**„ჩემი ნიუ-იორკში ყოფნა პრემიერ-მინისტრის დელეგაციის ფარგლებში საქმიანობის გასაგრძელებლად არ ყოფილა კანონმდებლობით განსაზღვრული დიპლომატიური ეტიკეტის უგულებელყოფა და ვიზიტის საპროტოკოლო ნორმების დარღვევა", — განაცხადა არჩილ გეგეშიძემ ტელეკომპანია „იმედთან" სატელეფონო საუბარში.**

**შეგახსენებთ, რომ საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა გადაცემა „არჩევანში" განაცხადა, რომ არჩილ გეგეშიძე მას არ შეხვედრია, რითაც, პრეზიდენტის აზრით, დაირღვა კანონმდებლობა და ეტიკეტი.**

**„ჩვენი უმაღლესი დიპლომატიური სამსახური საგარეო საქმეთა სამინისტროს ვალდებულებაა, რომ სწორი მორალი, დიპლომატიური ეტიკეტი აღზარდოს ჩვენი დიპლომატიური კორპუსის იმ წარმომადგენლებში, ვინც ელემენტარულად არღვევს კანონმდებლობის მთელ რიგს, როდესაც პრეზიდენტს არ ხვდება იმ ქვეყანაში",** — განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

**მარი ნამგალაძე**

# რატომ არ გაჰყვა გეგეშიძე საქართველოს პრეზიდენტს ვაშინგტონში?

**ვიცე-პრემიერის, საგარეო საქმეთა მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის განმარტებით, ვაშინგტონში პრეზიდენტის ვიზიტის დროს, ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს ელჩის არჩილ გეგეშიძის ნიუ-იორკში დარჩენის გადაწყვეტილება პრემიერ-მინისტრთან კონსულტაციით იქნა მიღებული.**



ამის შესახებ კვირიკაშვილმა განაცხადა. მან აღნიშნა, რომ მის საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშვნიდან რამდენიმე დღეში ჰქონდა შეხვედრა პრეზიდენტის მრჩეველთან საგარეო ურთიერთობათა საკითხებში თენგიზ ფხალაძესთან და მას შესთავაზა პრეზიდენტის ვიზიტი ცალკე მომზადებულიყო, თუმცა, ეს ასე არ მოხდა.

**„პრემიერ-მინისტრისა და პრეზიდენტის ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში იყო ძალიან წარმატებული და სასარგებლო. ამ მიმართულებით, ამ წარმატებისთვის, საგარეო საქმეთა სამინისტრომ როგორც ამერიკაში ჩვენი საელჩოს, ასევე გაეროსთან ჩვენი მუდმივი წარმომადგენლობის მეშვეობით, ძალიან დიდი სამუშაო გასწია. ჩემი დანიშვნიდან სულ რამდენიმე დღეში მქონდა შეხვედრა პრეზიდენტის მრჩეველთან საგარეო ურთიერთობების კუთხით, ბატონ თენგიზ ფხალაძესთან. მას შევთავაზე, რომ იქნებ მომხდარიყო პრეზიდენტის ცალკე ვიზიტის დაგეგმვა. ამ შემთხვევაში მე მათ, რა თქმა უნდა, ასევე აღვუთქვი მხარდაჭერა, რომ მაქსიმალურად შევეცდებოდით, გაგვეკეთებინა ძალიან კარგი, წარმომადგენლობითი ოფიციალური ვიზიტი. სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა და უკვე იმ მოცემულობაში, როცა ეს ასე არ მოხდა მე, რა თქმა უნდა, ვთვლი, რომ კარგი იქნებოდა, ელჩი არჩილ გეგეშიძე ყოფილიყო ვაშინგტონში პრეზიდენტის ვიზიტის განმავლობაში. თუმცა, გამომდინარე, პრემიერ-მინისტრის შეხვედრების გრაფიკიდან, მათ შორის იმ შეხვედრებიდან, რომელიც იყო გაეროს ფორმატს მიღმა (იყო ასეთი ორმხრივი შეხვედრები ამერიკის მთავრობის წარმომადგენლებთანაც) მთავრობის მეთაურთან კონსულტაციით მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ელჩი დარჩენილიყო ნიუ-იორკში. ამაში უკანონობის დანახვა არის გადამეტება, იმიტომ რომ უკანონო ნამდვილად არაფერი არ ყოფილა",** — განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

მისივე თქმით, ზოგადად ის, რომ ამ საკითხებზე კომენტარის გაკეთება უწევთ, ცუდია, ვინაიდან მიიჩნევს, რომ რაც უფრო უკეთესი კოორდინაცია იქნება ქვეყნის უმაღლეს პირებს შორის საგარეო პოლიტიკის მიმართულებით ნაბიჯების დაგეგმვისას, მით უფრო სასარგებლო იქნება ეს ქვეყნისთვის.

ეკონომიკა-ფინანსები-ინსტიტუციები

# „მშრალი" სტატისტიკა ყველას გასაგონად

## გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსში საქართველოს რეიტინგი გაუმჯობესდა

**მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2015-2016 წლის გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშის მიხედვით, საქართველოს რეიტინგი 3 ადგილით გაუმჯობესდა და მსოფლიო 140 ქვეყანას შორის 69-ე ადგილიდან 66-ზე გადმოინაცვლა. ინდექსი ზომავს მაკროეკონომიკური გარემოს ხარისხს, ქვეყნის საჯარო ინსტიტუტების მდგომარეობას და ტექნოლოგიური მზაობის დონეს.**

ყველაზე მნიშვნელოვანი გაუმჯობესება ბაზრის ეფექტიანობის კომპონენტშია, სადაც ქვეყანამ 12 პოზიციით წაიწია წინ. ყველაზე უმნიშვნელო — 1 პოზიციით გაუმჯობესება მოხდა ბიზნესის განვითარების კომპონენტში. საქართველოს რეიტინგი 9 პოზიციით გაუმჯობესდა შრომის ბაზრის ეფექტიანობის კომპონენტში, 8 პოზიციით — ფინანსური ბაზრის განვითარების მიმართულებით, ხოლო 5 პოზიციით — უმაღლესი განათლებისა და ტრენინგის კომპონენტში.

რაც შეეხება ცალკეული კომპონენტების ქვეკომპონენტებს, ინსტიტუციების კომპონენტში მნიშვნელოვანი გაუმჯობესებაა საკუთრების უფლების მხრივ, სადაც ქვეყანა 27 პოზიციით დაწინაურდა და 58-ე ადგილზე გადმოინაცვლა. საგრძნობლად გაუმჯობესდა კანონმდებლობის ეფექტიანობა რეგულაციებში და დავების სამართლებრივი გზით მოგვარების ეფექტიანობის მაჩვენებლები. ფაქტობრივად უცვლელია სახელმწიფო რეგულაციების ტვირთისა და პოლიტიკოსების მიმართ ნდობის განმსაზღვრელი ქვეკომპონენტები.

განათლების კომპონენტს რაც შეეხება, დაწყებითი განათლების ხარისხის მხრივ, ანგარიშში ნაჩვენებია 2-საფეხურიანი დაწინაურება, 8 საფეხურით გაუმჯობესდა მათემატიკური და სამეცნიერო განათლების ხარისხის ინდიკატორი. ერთი შეხედვით ამ დადებითი ცვლილების მიუხედავად, მდგომარეობა არცთუ ისე სახარბიელოა. საქართველო დაწყებითი განათლების ხარისხის მხრივ 90-ე, ხოლო მათემატიკური და სამეცნიერო განათლების ხარისხის რეიტინგში 140 ქვეყანას შორის 97-ე ადგილს იკავებს. მნიშვნელოვანი დადებითი ცვლილებაა პროფესიულ განათლებაში ჩართულთა პროცენტული ზრდა.

ყველაზე ნაკლები პროგრესი განიცადა ფინანსური ბაზრების განვითარების კომპონენტმა. კერძოდ, სესხებზე ხელმისაწვდომობის მხრივ საქართველო 140 ქვეყანას შორის 109-ე ადგილს იკავებს. ტრადიციულად, ინოვაციებისა და ახალი ტექნოლოგიების კომპონენტში საქართველოს პოზიციები ყველაზე სუსტია. ასე მაგალითად, მეცნიერებისა და ინჟინრების არსებობის მხრივ, ქვეყანა 113-ე ადგილს იკავებს, ხოლო ინვესტიციებისა და ტექნოლოგიური ტრანსფერის კუთხით — 109-ე ადგილს.

დაბოლოს, სამი მიმართულებაა, რომელშიც საქართველოს მოწინავე პოზიციები უკავია: ქვეყანა მეშვიდე ადგილზეა მსოფლიოში სახელმწიფო რეგულაციების ტვირთის მხრივ, საგადასახადო განაკვეთების მხრივ — მეცხრე, ხოლო ხელფასის განსაზღვრის მოქნილობის მაჩვენებლით — მეათე ადგილზე.

სამი ყველაზე ნაკლებად კონკურენტუნარიანი კომპონენტები კი შემდეგია: ადგილობრივ მიმწოდებელთა რაოდენობა — 137-ე ადგილი, ანტიმონოპოლიური პოლიტიკის ეფექტი — 116-ე ადგილი, მომხმარებელთა მოთხოვნა — 114-ე ადგილი.

კონკურენტუნარიანობის ანგარიში ქვეყნის ძლიერ და სუსტ მხარეებს კარგად წარმოაჩენს და ეხმარება მთავრობებს, მოახდინონ პრიორიტეტების სწორად იდენტიფიცირება და განახორციელონ შესაბამისი რეფორმები.

**ნინო ევგენიძე,**
**რადიო „თავისუფლება"**

დანართი №1 (2 ფურცელი)
დამტკიცებულია
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის
2015 წლის „06 ოქტომბრის"
№ ს-486 ბრძანებით

## აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

| ობიექტი № 1 | | |
|---|---|---|
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 245444844 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. ბათუმი, გორგასლის ქ № 115 / 0422 27 35 10 |
| 3 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 4 | ლიცენზიის პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შემდეგ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემ დაწესებულებას წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ტოპოგრაფიულ საფუძველზე მოცულობის მითითებით).<br>ბ) დაცული იქნეს საზოგადოების უსაფრთხოება, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის საზოგადოების ჯანმრთელობისათვის უსაფრთხოების და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 5 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქედის მუნიციპალიტეტი, სოფ. დოლოგანის მიმდებარე ტერიტორია, „მდ. აჭარისწყლის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება", მე-IV უბანი (კოორდინატი-P, მისაპოვებელი წიაღის ჯამური მოცულობა - 30 000 მ³) |
| 6 | ლიცენზიის ობიექტის ადგილმდებარეობა | ქედის მუნიციპალიტეტი, სოფ. დოლოგანი. |
| 7 | აუქციონის საწყისი ფასი | 5 218 ლარი |
| 8 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10%) | 521.8 ლარი |
| 9 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი ლიცენზიის მოსაკრებელი | 4 200 ლარი |
| 10 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 08 ოქტომბრის დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 10 ნოემბრის დღის 18.00 საათზე |
| 11 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 10 ნოემბრის დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 10 ნოემბრის დღის 18.00 საათზე |
| 12 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 1 წელი |
| 13 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

დანართი №1 (2 ფურცელი)
დამტკიცებულია
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის
2015 წლის „06 ოქტომბრის"
№ ს-487 ბრძანებით

## აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

| ობიექტი № 1 | | |
|---|---|---|
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 245444844 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. ბათუმი, გორგასლის ქ № 115 / 0422 27 35 10 |
| 3 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 4 | ლიცენზიის პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შემდეგ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემ დაწესებულებას წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ტოპოგრაფიულ საფუძველზე მოცულობის მითითებით).<br>ბ) დაცული იქნეს საზოგადოების უსაფრთხოება, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის საზოგადოების ჯანმრთელობისათვის უსაფრთხოების და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 5 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქედის მუნიციპალიტეტი, სოფ. დოლოგანის მიმდებარე ტერიტორია, „მდ. აჭარისწყლის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება", მე-V უბანი (კოორდინატი-P, მისაპოვებელი წიაღის ჯამური მოცულობა - 30 000 მ³) |
| 6 | ლიცენზიის ობიექტის ადგილმდებარეობა | ქედის მუნიციპალიტეტი, სოფ. დოლოგანი. |
| 7 | აუქციონის საწყისი ფასი | 5 218 ლარი |
| 8 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10%) | 521.8 ლარი |
| 9 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი ლიცენზიის მოსაკრებელი | 4 200 ლარი |
| 10 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 08 ოქტომბრის დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 10 ნოემბრის დღის 18.00 საათზე |
| 11 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 10 ნოემბრის დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 10 ნოემბრის დღის 18.00 საათზე |
| 12 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 1 წელი |
| 13 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

დანართი №1 (2 ფურცელი)
დამტკიცებულია
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის
2015 წლის „06 ოქტომბრის"
№ ს-488 ბრძანებით

## აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

| ობიექტი № 1 | | |
|---|---|---|
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 245444844 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. ბათუმი, გორგასლის ქ № 115 / 0422 27 35 10 |
| 3 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 4 | ლიცენზიის პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შემდეგ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემ დაწესებულებას წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ტოპოგრაფიულ საფუძველზე მოცულობის მითითებით).<br>ბ) დაცული იქნეს საზოგადოების უსაფრთხოება, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის საზოგადოების ჯანმრთელობისათვის უსაფრთხოების და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 5 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქედის მუნიციპალიტეტი, სოფ. დოლოგანის მიმდებარე ტერიტორია, „მდ. აჭარისწყლის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება", მე-VI უბანი (კოორდინატი-P, მისაპოვებელი წიაღის ჯამური მოცულობა - 30 000 მ³) |
| 6 | ლიცენზიის ობიექტის ადგილმდებარეობა | ქედის მუნიციპალიტეტი, სოფ. დოლოგანი. |
| 7 | აუქციონის საწყისი ფასი | 5 218 ლარი |
| 8 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10%) | 521.8 ლარი |
| 9 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი ლიცენზიის მოსაკრებელი | 4 200 ლარი |
| 10 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 08 ოქტომბრის დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 10 ნოემბრის დღის 18.00 საათზე |
| 11 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 10 ნოემბრის დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 10 ნოემბრის დღის 18.00 საათზე |
| 12 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 1 წელი |
| 13 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

**დანართი №1 (5 ფურცელი)**
**დამტკიცებულია**
**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის**
**ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის**
**2015 წლის „06 ოქტომბრის“**
**№ ს-489 ბრძანებით**

| № | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | საბადო ან გამოვლინება | კატეგორია | ლიცენზიის მოქმედების ვადა | მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა მ3/წელიწადში | საწყისი ფასი (ლარი) | ბუ-ს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ხელვაჩაური, გონიოს დასახლება | მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით | P | 3 წელი | 10 950 $м^3$/წელიწადში | 125 | 225 |
| 2 | ხელვაჩაური, კახაბრის დასახლება | მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით | P | 3 წელი | 10 950 მ3/წელიწადში | 125 | 225 |
| 3 | ხელვაჩაური, მეჯინისწყლის დასახლება | მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით | P | 3 წელი | 10 950 $მ^3$/წელიწადში | 125 | 225 |
| 4 | ქ. ბათუმი, კახაბრის დასახლება | მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით | P | 3 წელი | 500 $მ^3$/წელიწადში | 6 | 205 |
| 5 | დაბა ხელვაჩაური, წერეთლის ქ.N4 | მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით | P | 3 წელი | 54 750 $მ^3$/წელიწადში | 625 | 300 |
| 6 | ქ.ბათუმი, აეროპორტის დასახლება | მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით | P | 3 წელი | 7 300 $მ^3$/წელიწადში | 84 | 220 |
| 7 | დაბა ხელვაჩაური, წერეთლის ქ.N4 | მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით | P | 3 წელი | 3 650 $მ^3$/წელიწადში | 42 | 205 |
| 8 | ხელვაჩაური, სოფ.[illegible] | მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით | P | 3 წელი | 5000 $მ^3$/წელიწადში | 58 | 210 |
| 9 | ქ. ბათუმი | მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით | P | 3 წელი | 87 600 $მ^3$/წელიწადში | 1001 | 400 |
| 10 | ქედის მუნიციპალიტეტი, სოფ. გოგიაშვილები | მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით | P | 3 წელი | 1 825 $მ^3$/წელიწადში | 21 | 205 |
| 11 | ქობულეთი, სოფ. ხუცუბანი | მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით | P | 3 წელი | 21 900 $მ^3$/წელიწადში | 250 | 225 |
| 12 | ქ. ბათუმი,ტბელ აბუსერიძის ქ.N24 | მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით | P | 3 წელი | 30 000 $მ^3$/წელიწადში | 343 | 240 |
| 13 | დაბა ხელვაჩაური, [illegible] ქ.N18 | მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით | P | 3 წელი | 73 000 $მ^3$/წელიწადში | 834 | 350 |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო | | | | |
| საიდენტიფიკაციო ნომერი | | | 245444844 | | | | |

| | |
|---|---|
| მისამართი/ტელეფონი | ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქ № 119 / 0422 27 35 10 |
| სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარიმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ლიცენზიის გამცემს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს ლიცენზიის გამცემის სამსახური უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურღილის თავმორთულობის მოწყობა, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყლის [illegible];<br>ზ) ჭაბურღილებზე მოსაწყობილებელია თავმორთულობა და ჰერმეტიზაციის;<br>თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის აღრიცხვის შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად აღასრულებელი მოცულობის მითითებით).<br>ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 12 ოქტომბრის დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 16 ნოემბრის დღის 18.00 საათზე |
| აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 16 ნოემბრის დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 16 ნოემბრის დღის 18.00 საათზე |
| სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

**ამერ-იმერი**

# ახალ ხიბულამდე ახალი გზით მივალთ

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილემ ეკა სეფაშვილმა ხობის მუნიციპალიტეტში ახალი ხიბულა-ნარაზენის საავტომობილო გზის 5 კმ-იანი მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერა.

აღნიშნული მონაკვეთი სამეგრელოს რეგიონში, ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალი ხიბულას მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიაზე გადის და ის უმოკლესი გზით აკავშირებს ხობის, ჩხოროწყუსა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტებს.

მათივე ინფორმაციით, სარეაბილიტაციო გზა თითქმის სრულად იყო ამორტიზებული და გზით მოსარგებლეებს მასზე გადაადგილება წლების მანძილზე დისკომფორტს უქმნიდა.

გზის რეაბილიტაციას საავტომობილო გზების დეპარტამენტი ახორციელებს და ამ დროისათვის, 5 კმ-იან მონაკვეთზე ასფალტ-ბეტონის საფარის მოწყობის, წყალგამტარი მილებისა და ახალი ხიდის მშენებლობის სამუშაოები მიმდინარეობს. პროექტის ფარგლებში, ასევე, მოწესრიგდება მოსახლეობის ეზოებში შესასვლელები, ადგილობრივ გზებთან მიერთებები და საზოგადოებრივი ტრანსპორტის გასაჩერებელი მოედნები.

გზის კეთილმოწყობის დასრულება წლის ბოლომდე იგეგმება. სამუშაოები სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება და მისი ღირებულება 2 მლნ. 246 ათასი ლარია.

# რატომ გაიზარდა „თბილისობის“ ბიუჯეტი?

დედაქალაქის მერი დავით ნარმანია განმარტავს, თუ რატომ გაიზარდა „თბილისობის“ ბიუჯეტი. თბილისობის ჯამური ბიუჯეტი 977 000 ლარს შეადგენს და კონკრეტული ღონისძიებების მიხედვით არის გაწერილი. რაც შეეხება ბიუჯეტის გაზრდას, ნარმანიას განმარტებით, წელს „თბილისობას“ დაემატა ღონისძიებები გამომდინარე იმ კონცეფციებიდან, რაც მიიღეს კონკურსის შედეგად და ძირითადად ამან გამოიწვია ბიუჯეტის ზრდა.

როგორც ქალაქის მერმა აღნიშნა, „თბილისობის“ ტრადიციული დღესასწაული წელს, 17-18 ოქტომბერს გაიმართება. მისი შეფასებით, ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი დღესასწაული და შესაბამისად, წელს საინტერესო პროგრამა გააკეთეს.

„იქნება როგორც პატარებისთვის გასართობი, ასევე დიდებისთვის. სხვადასხვა მნიშვნელოვანი კულტურული შემეცნებითი ღონისძიებები. ძირითადი აქცენტი გაკეთდება თბილისის, როგორც ეკოლოგიურად მდგრადი, სუფთა, მწვანე ქალაქის კონცეფციაზე. საკმაოდ ბევრ სტუმარს ველოდებით, მათ შორის იქნებიან უცხოელი დელეგაციები. დარწმუნებული ვარ, თითოეული მათგანი კმაყოფილი დარჩება არ ღონისძიებით“, — განაცხადა ნარმანიამ.

მისივე თქმით, ხარჯთაღრიცხვა გაწერილია ძირითადი მიმართულებების მიხედვით და დავალებები შესაბამის სამსახურებზე გადანაწილებულია.

ინტერპრესი

ევროპის ჩემპიონატი

# ჯერ გიბრალტარი, შემდეგ გერმანია




**საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ევროპის 2016 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ბოლო მატჩებისთვის მზადება დაიწყო. „ჯვაროსანთა“ მთავარმა მწვრთნელმა კახა ცხადაძემ გუნდი ორშაბათს არასრული შემადგენლობით ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკურ ცენტრ „ბასაზე“ ავარჯიშა. ლეგიონერთა უმრავლესობა ნაკრებს გუშინ შეუერთდა.**

ქართველი ფეხბურთელები 8 ოქტომბერს, 20 საათზე, „დინამო არენაზე“ გიბრალტარის ნაკრებს უმასპინძლებენ, 11 ოქტომბერს კი ტურნირის დასკვნით მატჩს ლაიფციგში Red Bull არენაზე გერმანიის ეროვნული გუნდის წინააღმდეგ გამართავენ.

**კახა ცხადაძე მომავალ შეხვედრებში 23 ფეხბურთელს დაეყრდნობა:**

**მეკარეები:** გიორგი ლორია („კრილია სოვეტოვი“, რუსეთი), ნუკრი რევიშვილი („მორდოვია“, რუსეთი), გიორგი მაკარიძე („ფეირენსე“, პორტუგალია)

**მცველები:** გიორგი ნავალოვსკი („დილა“, გორი, საქართველო), გიორგი ფოფხაძე („ფლამურტარი“, ალბანეთი), ალექსანდრე ამისულაშვილი („კარშიაკა“, თურქეთი), ზურა ხიზანიშვილი („ინტერი“, ბაქო, აზერბაიჯანი), გურამ კაშია („ვიტესი“, ჰოლანდია), სოლომონ კვერკველია („რუბინი“, რუსეთი), უჩა ლობჟანიძე („ომონია“, კვიპროსი), ოთარ კაკაბაძე („დინამო თბილისი“, საქართველო), გია გრიგალავა („პაფოსი“, კვიპროსი)

**ნახევარმცველები:** ჯაბა კანკავა („რეიმსი“, საფრანგეთი), სანდრო კობახიძე („ვოლინი“, უკრაინა), თორნიკე ოქრიაშვილი („გენკი“, ბელგია), ნიკა კვეკვესკირი („ინტერი“, ბაქო, აზერბაიჯანი) გიორგი მერებაშვილი („ვერია“, საბერძნეთი), ვალერი ყაზაიშვილი („ვიტესი“, ჰოლანდია), ნიკა ძალამიძე („რიზესპორი“, თურქეთი), გუგა ფალავანდიშვილი („დილა“, გორი, საქართველო)

**თავდამსხმელები:** მათე ვაწაძე („ორჰუსი“, დანია), ბაჩანა ცხადაძე („ფლამურტარი“, ალბანეთი), ნიკოლოზ გელაშვილი („პაფოსი“, კვიპროსი)

საქართველოს ნაკრები გიბრალტართან მატჩისწინა ბოლო ვარჯიშს „დინამო არენაზე“ ხვალ 19:30 საათზე ჩაატარებს, მანამდე, 19 საათზე კახა ცხადაძის პრესკონფერენციაა დაგეგმილი.

**გიორგი შოთაძე**

კალათბურთი

# „ვთბ-ლიგაში“ ტაირის რაისი გამოარჩიეს



**„ვთბ-ლიგაში“, სადაც თბილისის „ვითა“ ასპარეზობს, პირველი ტურის საუკეთესო მოთამაშედ „ხიმკის“ 28 წლის ამერიკელი გამთამაშებელი ტაირის რაისი დაასახელეს.**

„ხიმკიმ“ შინ „ავტადორს“ 87:84 მოუგო. ტაირის რაისმა გუნდს 30 ქულა, 4 პასი, 3 ჩაჭრა და 2 მოხსნა შესძინა. რაისის მარგი ქმედების კოეფიციენტმა +31 უწია.

**გივი გაგუა**

ბალახის ჰოკეი

# ჰოკეიში ქართველი მოზარდები გამოჩნდნენ

**ბრიუსელში, ევროპის ჰოკეის ფედერაციის ოფისში, ჰოკეი 5-ში 2016 წლის ევროპის პირველობის კენჭისყრა გაიმართა 16 წლამდელთა შორის. ევროპის მომავალი ასაკობრივი პირველობა ამავდროულად 2018 წლის არგენტინის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის პირველი საკვალიფიკაციო შეჯიბრია, სადაც მონაწილეობას ქართველი სპორტსმენებიც მიიღებენ.**



საქართველოს 16 წლამდელ გოგონათა და ჭაბუკთა ნაკრები ა ქვეჯგუფში მოხვდნენ.

გოგონების მეტოქეები იქნებიან აზერბაიჯანის, ბულგარეთის, ხორვატიის, ჩეხეთის, იტალიისა და თურქეთის გუნდები, ხოლო ბიჭების აზერბაიჯანის, ბულგარეთის, ჩეხეთის, მალტის, პორტუგალიისა და თურქეთის 16-წლამდელთა ნაკრებები.

ევროპის პირველობა ჩატარდება 2016 წლის 5-9 ივლისს, ჩეხეთის დედაქალაქ პრაღაში. ქართველი 16-წლამდელები ევროპის პირველობაზე პირველად ითამაშებენ.

აღსანიშნავია, რომ 2015 წლის 22-25 ოქტომბერს წყნეთში, საერთაშორისო სკოლა ბაქსვუდის სპორტულ ბაზაზე პირველად ბალახის ჰოკეის ისტორიაში ჩატარდება საქართველოს ღია პირველობა ჰოკეი 5-ში, სადაც თამაშის უფლება სომხეთის გუნდებმაც გამოთქვეს. საქართველოს ღია პირველობის შედეგად ჩამოყალიბდება საქართველოს ნაკრები, რომელიც დაიწყებს მზადებას ევროპის პირველობისთვის.

**ლექსო ცინცაძე**

ევროლიგა

# სიმბოლური ნაკრები

**უეფას ოფიციალურმა ვებგვერდმა ევროპა ლიგის მეორე ტურის სიმბოლური ნაკრები შეადგინა. საუკეთესო 11 ფეხბურთელს შორის ერთ გუნდი ორი მოთამაშით წარმოდგენილი არაა.**

24 გუნდიდან შერჩეული საუკეთესო მოთამაშეთა ნაკრები შემდეგნაირად გამოიყურება:

**მეკარე:** ეტან ჰორვატი („მიოლდე“).

**მცველები:** ნენად ტომოვიჩი („ფიორენტინა“), იაკუბ ბრაბეცი („სპარტა“), ვლადიმირ კოუფალი („ლიბერეცი“).

**ნახევარმცველები:** მარკუს ჰენრიკსენი („ალკმაარი“), ბირკირ ბიარნასონი („ბაზელი“), რიჩარდ ალმეიდა („ყარაბაღი“), ანდრია ჟივკოვიჩი („პარტიზანი“).

**თავდამსხმელები:** პიონე სისტო („მიდტიულანდი“), ფერნანდაო („ფენერბაჰჩე“), ფრანკო დი სანტო („შალკე“).

**ლაშა დიდია**




ჩოგბურთი

# სერენამ კრის ევერტს გადაასწრო

**დიდი სლემის 21-გზის ჩემპიონი ამერიკელი სერენა უილიამსი 261 კვირაა, რაც მსოფლიო რეიტინგის პირველი ნომერია. აღნიშნული მაჩვენებლით სერენამ თანამემამულე კრის ევერტს გაასწრო, რომელიც კარიერის მანძილზე საჩოგბურთო რეიტინგს 260 კვირა ლიდერობდა.**

ყველაზე დიდხანს ქალთა საჩოგბურთო რეიტინგს შტეფი გრაფი ლიდერობდა (377 კვირა), მეორე ადგილზეა მარტინა ნავრატილოვა — (332 კვირა), მესამეზე სერენა უილიამსი (261 კვირა).



სერენა უილიამსი მსოფლიოს პირველი ჩოგბურთელი პირველად 2002 წელს გახდა.

**თამაზ პატარაია**

ინტერნეტიდან

# მალენა კოსტას გარდასახვა

**ესპანეთიდან ფლორენციის „ფიორენტინაში“ გადაბარგებული მარიო სუარესის ცხოვრება ბოლო დროს არამხოლოდ იმან შეცვალა, რომ საცხოვრებლად მადრიდს ტოსკანა ამჯობინა, არამედ იმანაც, რომ მარიოს ცოლი, ცნობილი ესპანელი მოდელი, მალენა კოსტა კარგა ხნით გამოემშვიდობა თავის საქმიანობას და ნამეტნავად დამჯერ დიასახლისად გარდაისახა.**

როგორც მალენა კოსტა განმარტავს, მას ცოტა ხნით თავადაც სჭირდებოდა დასვენება და ზედმეტი ყურადღებისგან განდგომა. ამას გარდა, სხვა გარემოში მოხვედრილ მარიოსაც ადაპტაციაში ცოლის დახმარება წესით ძალიან გამოადგება და როცა ეს ყველაფერი ულამაზეს ფლორენციაში ხდება, ვითომ რატომ არ უნდა იფიქროს ადამიანმა საკუთარ თავზე და ურთიერთობებზე?!



ადრეც ვწერდით, რომ მალენა კოსტა და მარიო სუარესი ჯერ ოფიციალურად არ არიან შეუღლებულები, მაგრამ ერთმანეთს ცოლქმრად მოიხსენიებენ და ჩვენ რა უფლება გვაქვს მათი ურთიერთობების ფორმებსა და სტილში ეჭვი შევიტანოთ? მით უმეტეს, რომ ბოლო დროს ევროპაში წყვილებს შორის ასეთი ხელმოუწერელი თანაცხოვრება მეტად პოპულარული გახდა.

**როსტომ რაჭველიშვილი**

ქართული თხილის გასაჭირი

# ვინ აკონტროლებს თხილის ბიზნესს?

**ქართულ თხილს მძიმე დრო უდგას. გლეხებსა და მწარმოებლებს პროდუქციის რეალიზაცია უჭირთ. თხილის ფასი მკვეთრად დაეცა. ჯერ კიდევ აგვისტოში, მიმღებ პუნქტებში ერთი კილოგრამი თხილის ფასი 6-დან 7 ლარამდე მერყეობდა. გლეხების ვარაუდი, რომ წელს მცირე მოსავალია და თხილზე ფასი კიდევ მოიმატებდა, არ გამართლდა. ამჟამად, ერთი კილოგრამის ფასი 5, 80-დან 6 ლარამდე მერყეობს. მწარმოებლები თხილზე ფასის დაწევას თურქეთის ფაქტორით ხსნიან.**

„თურქეთში წელს თხილი კარგი მოსავალი მოვიდა. 700 ათას ტონაზე მეტი. ამიტომ, თურქი ბიზნესმენები ჩვენს თხილს არ ყიდულობენ. თავისი იაფად აქვთ, თანაც გაცილებით უკეთესი ხარისხის, ვიდრე ჩვენი. ჩვენი თხილი კი წელს უხარისხო და მცირეა“, — ამბობენ მწარმოებლები.

წლეულს თხილის მცირე მოსავალს რომ ელოდნენ, bpn ამის შესახებ ორი თვის წინ წერდა. სამეგრელოსა და გალის ტერიტორიაზე ძლიერმა სიცხემ და ქარმა მოსავლის დიდი ნაწილი გააფუჭა. ამიტომ, გლეხები თხილზე ფასის ზრდას ვარაუდობდნენ. აგვისტოში მიმღებ პუნქტებში თხილის ფასი დღეში რამდენჯერმე იცვლებოდა, რასაც ქარხნები თხილის ხარისხიდან გამომდინარე ხსნიდნენ. თუმცა, ფასის ზრდის მოლოდინი მაინც არსებობდა. შარშან, ბაზარზე ერთი კილოგრამი თხილის ფასი 10-11 ლარი იყო. მწარმოებლები ვარაუდობდნენ, რომ წელს თხილის ფასი შესაძლოა 14 ლარამდეც კი გაზრდილიყო. მაგრამ სექტემბერში სურათი მკვეთრად შეიცვალა — თხილზე ფასი დაეცა, ხოლო მწარმოებლებს პროდუქტის რეალიზაცია გაუჭირდათ. ზოგიერთმა ქარხანამ მუშაობა შეაჩერა.

საგულისხმოა, რომ ზოგიერთი მწარმოებელი თხილზე ფასის დაცემას ბაზარზე მონოპოლისტების გამოჩენას უკავშირებს. ეს ვერსია უკვე რამდენიმე თვეა, მუსირებს. თუმცა, კონკრეტულად ვინ დგას თხილის ბიზნესის უკან, ამაზე ღიად არავინ საუბრობს. ერთ-ერთი ვერსიით, ხელისუფლებასთან დაახლოებული პირები ბაზარზე სხვა მოთამაშეების, მათ შორის, თურქი ბიზნესმენების შემოსვლას ხელს უშლიან. დაბალი ფასით კი, ისინი თავად აპირებენ ბიზნესში ხელის მოთბობას.

bpn თხილის მწარმოებლებს ესაუბრა. მართალია, ზოგიერთმა მეწარმემ ბაზარზე მონოპოლისტების შესახებ ინფორმაცია დაადასტურა, თუმცა, მათი დაკონკრეტებისგან თავი შეიკავა. ჩვენი რესპონდენტების ნაწილმა კი, ეს ვერსია საერთოდ გამორიცხა და თხილზე ფასის დაცემა მხოლოდ თურქეთის ფაქტორს დაუკავშირა.

**თეიმურაზ გოგოხია, შპს „ევრონეთის“ დირექტორი:** „ჩვენთან ერთი კილოგრამი თხილის ფასი 6 ლარია, რაც ევროპის ფასებთან შედარებით მაღალია. ვიღაცას თხილის ჩაბარება მაღალ ფასში უნდა, მაგრამ ასეც არ არის. წელს თურქეთი ჩვენგან თხილს არ ყიდულობს. ამიტომ, კონკურენცია დაბალია. ამის მრავალი მიზეზია. ზოგადად, მსოფლიოში თხილის კარგი მოსავალია. იგივე თურქეთში ძალიან დიდი მოსავალი მოვიდა, თხილი იაფად აქვთ და ჩვენთან არ ყიდულობენ. ჩვენთან თურქები მხოლოდ თხილის გულს ყიდულობენ, ერთი კილო თხილის გულის ფასი 17 ლარია. დოლარის კურსიც გაითვალისწინეთ. ამიტომ, ჩვენთან რატომ იყიდიან? რაც შეეხება ბაზარზე მონოპოლისტების არსებობას, ეს ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება. თხილს ველარ ვყიდით და რომელ მონოპოლიაზე მელაპარაკებით? ქარხნების დიდი ნაწილი გაჩერებულია. ჩვენი ქარხანა მხოლოდ თხილის გულს ჰყიდის, იმასაც ძალიან მცირე რაოდენობით.“



ინდმეწარმე **გიორგი ბულია** bpn-თან საუბარში აღნიშნავს, რომ თხილის ფასის დაცემა კლიმატურმა პირობებმა განაპირობა: „შარშან თხილზე ფასი იმიტომ ავარდა, რომ თურქეთში მოსავალი ყინვამ გააფუჭა. წელს კი, პირიქით. ძალიან კარგი მოსავალი აიღეს. ამიტომ, ჩვენს თხილზე მოთხოვნა შემცირდა. თურქეთი ჩვენსა და ევროპას შორის შუამავალი იყო. თურქეთს ქართული თხილი თავისი სახელით გაჰქონდა. ჩვენს თხილს კი, ევროპა არ ენდობა. გერმანია, საფრანგეთი, იტალია ჩვენს თხილს ტკბილეულისთვის იყენებდა. ჩვენთან იტალიელებს თხილის ბაღები აქვთ. ისინი თავად აწარმოებენ და ამუშავებენ თხილს და პირდაპირ ექსპორტზე გააქვთ. ჩვენი აღარ სჭირდებათ. შარშან გაუტეხავი თხილის ფასი 12 ლარამდე გაიზარდა. წელს კი 6 ლარია. ვფიქრობ, თხილის ფასი საახალწლოდ ოდნავ მოიმატებს.“

bpn-თან საუბარში თხილის გადამმუშავებელთა და ექსპორტიორთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი **ალექსანდრე მოწერელია** თხილის ბიზნესში მონოპოლისტების გამოჩენას არარეალურს უწოდებს და ფასის დაცემას თურქეთისა და უხარისხო მოსავლის ფაქტორით ხსნის.

„მსოფლიო ბაზრის კონიუნქტურას და ფასს თურქეთი განსაზღვრავს. შარშან თურქეთში 430 ათასი ტონა მოვიდა, წელს 730 ათასი ტონა. საკმაოდ დიდი სხვაობაა. აქედან გამომდინარე, მსოფლიო ბაზარზე ფასები დაეცა. ამაში საქართველოც ჩართულია და ლოგიკური შედეგიც მივიღეთ. რაც შეეხება იმას, რომ აგვისტოში შედარებით მაღალი ფასი იყო, ეს იმიტომ, რომ თხილი ახალი შემოსული იყო და შესაბამისად ცოტა იყო. ვისაც სჭირდებოდა, მას თურქეთში ყიდვის საშუალება არ ჰქონდა, რადგან თურქეთი თხილის მიწოდებას სექტემბერში იწყებდა. ამიტომ, ყველა საქართველოს მოაწვა და თხილის სიმცირიდან გამომდინარე, ფასმა აიწია. თურქეთის თხილი გამოჩნდა თუ არა, ფასი მკვეთრად დაეცა. შეიძლება ითქვას, რომ ამ ეტაპზე თურქებს ქართული თხილის მიმართ ინტერესი არა აქვთ, რადგან თავად უფრო იაფად აქვთ. ამიტომ, არ აქტიურობენ.

**— რა ბედი ელის ქართულ თხილს?**

— ფაქტია, რომ გაყიდვა ჭირს. მიუხედავად ამისა, ექსპორტი მაინც ხორციელდება. წელს დაახლოებით 4 000 ტონამდე თხილი ექსპორტზე გავიდა. ძირითადად ევროკავშირისა და პოსტსაბჭოურ ქვეყნებში გადის. ფასის აწევას არ ველოდები, ამის წინაპირობა არ არის. რაც შეეხება ფასის დაწევას, ეს მოსალოდნელია. ჩვენი მონაცემებით, წელს თხილის მოსავალი 60 ათასი ტონაა. ამის ზუსტი სტატისტიკა არ არსებობს.

რაც შეეხება მონოპოლისტების ფაქტორს, ამ ინფორმაციას ალექსანდრე მოწერელია არ ადასტურებს: თხილის ბიზნესში დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილია ჩართული. ამიტომ, მონოპოლისტი როგორ უნდა გამოჩნდეს და აკონტროლოს, წარმოუდგენელია. მე ვიტყოდი, რომ თხილის ბიზნესში ისეთი ადამიანები არიან ჩართულები, ვინც ეს საქმე არ იცის, ეს ქაოსიც მათგან გამომდინარეა. შარშან მაღალი ფასები რომ იყო, ბევრმა გადაწყვიტა, წელს თხილს თუ იყიდდა, ფასი მოიმატებდა. აგვისტოში თხილს მომწიფება არ აცადეს, შეესივნენ და 7 ლარად იყიდეს, ახლა უდევთ, ვერ ყიდიან. 6 ლარად არ ჰყიდიან, რადგან ზარალს ნახავენ. ალბათ, ამ სეზონზე ძალიან ბევრი დიდ ფინანსურ ზარალს ნახავს“, — აღნიშნა ალექსანდრე მოწერელიამ.

**სალომე გოგოხია**

---

ინფორმაცია

## უნდა იყოს თუ არა ტუბერკულოზით დაავადებული იზოლირებული?

**პარლამენტში „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ კანონპროექტის ინიცირება იგეგმება. პროექტის ავტორები დეპუტატები გიორგი ხეჩინაშვილი და დიმიტრი ხუნდაძე არიან.**

**ავტორთა განმარტებით, კანონპროექტის მიზანია ტუბერკულოზის ეფექტური კონტროლის გზით ფიზიკური პირის ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფა, ტუბერკულოზის გავრცელების თავიდან აცილება, ტუბერკულოზის შემთხვევის მართვის სამართლებრივი საფუძვლების დადგენა და ტუბერკულოზით დაავადებული პირისთვის საჭირო დახმარების გაწევა.**

**კანონპროექტით დგინდება სავალდებულო გამოკვლევის წესი და პირობები, განისაზღვრება კონკრეტული დავალებები (ნორმატიული ბაზის შექმნა) ჯანდაცვისა და პენიტენციური სამინისტროებისათვის, ასევე შემუშავდა ტუბერკულოზის გადამდები ფორმით დაავადებული პირის იზოლაციის მექანიზმი.**

**„არანებაყოფლობითი იზოლაცია ძალიან მნიშვნელოვანი და სენსიტიური თემაა. ამას არაერთი ქვეყანა მიმართავს, მათ შორის, ისეთი ქვეყნებიც, რომლებსაც ტუბერკულოზის პრობლემა თითქოს არ აქვთ. არსებობს ადამიანთა გარკვეული ჯგუფი, რომელიც არ ემორჩილება არავითარ ახსნა-განმარტებას, შთაგონებას, სოციალურ მოტივაციას და ა.შ. კანონპროექტში რეგულირდება ეს საკითხი და მიზანია ტუბერკულოზის გავრცელებისა და საზოგადოების ჯანმრთელობისთვის საფრთხის თავიდან აცილება. ეს არის უკიდურესი ღონისძიება მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ყველა რესურსი ამოწურულია. ეს არის ის შემთხვევები, როდესაც პაციენტი ან სავალდებულო გამოკვლევაზე ამბობს უარს, ან რაღაც მიზეზის გამო წყვეტს მკურნალობას“, — განმარტავს გიორგი ხეჩინაშვილი.**

---

**დეიდაშვილები ავთანდილ ლავთაძე, მაია კურცხალია, ამირან ლავთაძე, ლია სებისკვერაძე ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ**

**იზოლდა ბერაძის**

**გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ გარდაცვლილის ოჯახს.**

---

რეიტინგი

# მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტები

**ბრიტანულმა გამოცემა Times Higher Education-მა მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების 2015-2016 წლის რეიტინგი გამოაქვეყნა.**

მიმდინარე სასწავლო სეზონის საუკეთესო უნივერსიტეტი ზედიზედ მეხუთედ **კალიფორნიის ტექნოლოგიური ინსტიტუტი** გახდა. მიუხედავად იმისა, რომ რეიტინგის 800 უნივერსიტეტს შორის თითქმის მეხუთედს (147) ამერიკული უნივერსიტეტები შეადგენენ, წელს მაინც შეინიშნება მათი პოზიციების შესუსტება.

მაგალითად, წლევანდელ ტოპ-200-ში ამერიკის 63 უნივერსიტეტი მოხვდა, გასულ წელს მათი რაოდენობა — 74, 2013-ში კი 77 იყო. მიუხედავად ამისა, აღსანიშნავია, რომ **ტოპ ათეულში 6 ამერიკული უნივერსიტეტია,** მათ შორის **სტენფორდი მესამე ადგილზე, მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტი — მეხუთე, ჰარვარდი — მეექვსე** (რეიტინგის 12-წლიანი ისტორიის განმავლობაში პირველად ტოპ ხუთეულს მიღმა), **პრინსტონი — მეშვიდე, ჩიკაგოს უნივერსიტეტი** კი **მეათე პოზიციაზე** აღმოჩნდა.

**პირველ ათეულშია სამი ბრიტანული უნივერსიტეტი — ოქსფორდი (მეორე), კემბრიჯი (მეოთხე) და ლონდონის საიმპერატორო კოლეჯი (მერვე).** ათეულში **მეცხრე პოზიცია ერგო ETH Zurich — შვეიცარიის ფედერაციის ტექნოლოგიურ ინსტიტუტს.**

ქვეყნების მიხედვით ამერიკის შემდეგ ყველაზე მეტი უმაღლესი სასწავლებელი ამ რეიტნგში დიდ ბრიტანეთს ჰყავს — სულ 78, აქედან კი 34 — პირველ მეოთხედში.

რაც შეეხება სხვა ქვეყნის უნივერსიტეტებს, **რეიტინგში იტალიის 34 უნივერსიტეტი მოხვდა, საფრანგეთის — 27, ესპანეთის — 25, გერმანიის — 20. საერთო ჯამში,** ევროპა რეიტინგში 345 სასწავლებლით არის წარმოდგენილი. მკვლევარების განცხადებით, ევროპული უნივერსიტეტები სულ უფრო კონკურენტუნარიანები ხდებიან და მათი სიმრავლე ამ რეიტინგში სწორედ ამით აიხსნება.

**აზიის უნივერსიტეტებს შორის პირველ ადგილზეა სინგაპურის ეროვნული უნივერსიტეტი,** რომელიც რეიტინგში **26-ე ადგილზეა.** მას მოსდევს **პეკინისა** და **ტოკიოს უნივერსიტეტები — 42-ე და 43-ე ადგილებზე.** მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტების **რეიტინგში სიუხვით გამოირჩევიან ჩინეთი — 37 სასწავლებლით და იაპონია — 41 სასწავლებლით ტოპ 800-ში.**




რაც შეეხება რუსეთს, მისი ყველაზე ცნობილი უნივერსიტეტი — **ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი 161-ე პოზიციაზე** აღმოჩნდა, თუმცა, გასულ წელთან შედარებით, ლომონოსოვის უნივერსიტეტი 35 საფეხურით არის დაწინაურებული. **საერთო ჯამში** კი Times Higher Education-ის **მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების რეიტინგში რუსეთი 13 უნივერსიტეტით** არის წარმოდგენილი.

სამწუხაროდ, მსოფლიოს წამყვან 800 უმაღლეს სასწავლებელს შორის ვერც ერთი ქართული უნივერსიტეტი ვერ მოხვდა მაშინ, როდესაც წელს ამ რეიტინგში დებიუტი აქვს ინდონეზიის, ბანგლადეშისა და კენიის უნივერსიტეტებს. ხოლო **პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან თითო ან ორი უნივერსიტეტით წარმოდგენილი არიან უკრაინა, ბელორუსი და ბალტიისპირეთის სამივე ქვეყანა. მეზობელი თურქეთი კი 11 უნივერსიტეტით არის წარმოდგენილი.**

**კოკა კვირკველია**

დედაქალაქი

# თბილისი ნელ-ნელა იშუშებს წყალდიდობით მიყენებულ იარებს

**13 ივნისის არნახული წყალდიდობით გაჩანაგებულ მდინარე ვერეს ხეობაში მიმდინარე სამშენებლო-აღდგენითი სამუშაოები, გრაფიკით უახლოეს მომავალში უნდა დასრულდეს.**

სადღეისოდ ქალაქის ცენტრიდან, გმირთა მოედნიდან მდინარის გასწვრივ გზატკეცილით ვაკე-საბურთალოს შემაერთებელი თამარაშვილის ქუჩისკენ სამანქანო მოძრაობა ცალმხრივადაა გახსნილი, ხოლო საპირისპირო, მზიურის მიმართულებით, საიდანაც მოხვედრა როგორც ჭავჭავაძის პროსპექტზე, ასევე ბახტრიონის ქუჩაზეა შესაძლებელი, ავტომანქანებით მოძრაობა ორივე მხარესაა ნებადართული.





გზატკეცილის ამ მონაკვეთზე ქვის დიდი ლოდებით ამოვსებული ლითონის არმატურის პერანგში ჩასმული, წყალდიდობისგან დამცავი კედელია დამონტაჟებული, მის ძირში კი წყლის ნაკადის ამრიდებელი ბეტონის არხია გაყვანილი, გასწვრივ გამყოფი ბეტონის კედელია აშენებული, ფეხით მოსიარულეთათვის კი მოასფალტებული ტროტუარებია მოწყობილი.

სიახლეა ისიც, რომ სამანქანო მოძრაობისთვის გაიხსნა თამარაშვილისა და ჭავჭავაძის ქუჩების დამაკავშირებელი გვირაბი.

— მაინც როდის უნდა აღდგეს სრულფასოვნად საავტომობილო მიმოსვლა ვერეს ხეობაში? — ამ კითხვით „კაუკასუს როუდ პროექტის“ მთავარ ინჟინერს **შოთა ოდიშელიძესა** და უსაფრთხოების მენეჯერს **მამუკა ქველიძეს** მივმართეთ.

— ამჟამად სამშენებლო-აღდგენით სამუშაოებს 24-საათიან რეჟიმში ვაწარმოებთ. ცოტა ხნით წინათ მზიურისა და ბახტრიონის ქუჩის დამაკავშირებელი ეგრეთ წოდებული „ლურჯი ხიდი“ მოვშალეთ, რომლის ადგილს თანამედროვე ყაიდის ნაგებობა დაიკავებს, — გვითხრეს მშენებლებმა. — ხიდის მშენებლობის დასრულებისა და მასზე მოძრაობის გახსნის შემდეგ, ის გვირაბი, რომლის წყალდიდობის დროს მდინარის ჩამოტანილი მასალით ჩახერგვამ დედაქალაქს ასეთი უბედურება დაატეხა თავს, დაილუქება, წყალი კი ხიდის ქვეშ ახალი კალაპოტით თავისუფლად იდენს.





ვერეს ხეობაში სამანქანო მიმოსვლის ორმხრივად უახლოეს დროში აღსადგენად და მიმდებარე ტერიტორიის სრულ მოწესრიგებაში მოსაყვანად ინტენსიური მუშაობა გზატკეცილის ორივე მხარეს მიმდინარეობს.

**ოთარ ტურაბელიძე**

**ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.**

**პაციენტთა საყურადღებოდ!**

ეს არ არის **რეკლამა!** სამედიცინო რეკლამა მისი უხეირობის ნიშანია. ეს მხოლოდ **ინფორმაციაა...**

პროფესორი არჩილ ხომასურიძე თავის გუნდთან ერთად აგრძელებს იოსებ ჟორდანიას დაწყებულ საქმეს ახალ „რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტში“, თბილისი, 0112, თევდორე მღვდლის 13. ტელ: (995 32)224 00 99, 224 00 98.

**იყიდება საირმეში...**

იყიდება უშუალოდ კურორტ „საირმის“ ტერიტორიაზე, სამკურნალო წყლების წყაროებიდან სამოციოდე მეტრში მდებარე 2430 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთი, სადაც, სურვილისამებრ, ერთდროულად შეიძლება როგორც სანატორიუმის, ისე სამკურნალო-სააბაზანოს, ფიტნესკლუბის, კინოთეატრისა თუ სხვა ნაგებობათა აშენება. ყველა კომუნიკაცია არის. ფასი შეთანხმებით. ტელ: 5 99 98 56 33; 599 37 00 35.

**ყურადღება!**

იყიდება დიდ დიღომში, „იმედის“ კლინიკის სიახლოვეს მდებარე 1400 კვ. მეტრი საუკეთესო მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალურად არის შემოღობილი და განაშენიანებული სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგაობით. დატოვებულია ადგილი როგორც საცხოვრებელი სახლისთვის, ისე საცურაო აუზისა და სასპორტო მოედნისთვის. ნაკვეთთან მიყვანილია გაზი, დენი, კანალიზაცია, წყალი შეყვანილია. ფასი შეთანხმებით. **ტელ: 599 168 171; 598 51 81 35.**

კადრი



**ფოტოგრაფის წინაშე ჩინეთის ველური ბუნების პარკში პოზირებს არა მხოლოდ პატარა ბიჭი, არამედ ვეფხვიც.**

ცინცხალი ანეკდოტები

**— ალო, სად მოვხვდი, მორგში?**

**— არა, ჯერ მხოლოდ რეკავთ იქ.**

* * *

**— როგორ განვასხვავოთ სულელი ჭკვიანისგან?**

**— ძალიან ადვილად — უბრალოდ უთხარით ადამიანს, რომ ის სულელია. თუ ის ჭკვიანია, უსიტყვოდ დაგეთანხმებათ, ხოლო თუ სულელია, დაგიწყებთ იმის მტკიცებას, რომ ის სულელი არ არის.**



* * *

**გუშინ ქალაქის საავადმყოფოს ინფექციური განყოფილებიდან ფაღარათიანი ავადმყოფები გაქცეულან. ექიმებს მათთვის ცხელ კვალზე უცებ მიუგნიათ.**

* * *

**გუშინ ღობის ნახვრეტიდან ეზოში შევიჭყიტე. თვალში თითი მატაკეს.**

**ახლა ორივე თვალი მტკივა... — ხომ უნდა მენახა, ვინ მატაკა თითი...**

* * *

**ორი ტიპი ლუდის ბარში საუბრობს:**

**— ჯერაც არ დაქორწინებულხარ? — ეკითხება ერთი.**

**— არა... რამდენი წელია, ამ ბარში დავდივარ, მაგრამ წესიერი ქალი ვერ ვნახე...**

**ავტორთა საყურადღებოდ!**
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოში“
გრ. რობაქიძის №7

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
293-37-87; 599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე